



თამარ კალხიტაშვილი

# ციფრული ეკიბრაფიკა

გამოცემის სტანდარტი და  
მეთოდოლოგია



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ILIA STATE UNIVERSITY

2020

# ციფრული ეპიგრაფიკა

გამოცემის სტანდარტი და მეთოდოლოგია

## DIGITAL EPIGRAPHY

Publishing standard and methodology



დაფინანსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, SP-19-160.  
პროექტის ხელმძღვანელი: ნინო დობორჯგინიძე

ავტორი: თამარ კალხიტაშვილი

სამეცნიერო რედაქტორი: ნინო დობორჯგინიძე

დამკაბადონებელი: სანდრო ასათიანი

ISBN 978-9941-18-351-5

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS

3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სტამბა „წიგნის ფაბრიკა“

## შესავალი

ეპიგრაფიკული მასალა დღევანდელი მსოფლიოს და მისი ისტორიული წარსულის გასააზრებლად ფუნდამენტური წყაროა. ის, რაც ვიცით ისტორიის, ლიტერატურის თუ ენის შესახებ, წერილობითი წყაროებიდან ვიცით. ეპიგრაფიკის საგანი „ზედწერილი“ ძეგლებია, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში გამოიყენებოდა კულტურული, რელიგიური თუ გავლენის სფეროების მარკირებისთვის და ამდენად, განსხვავებით წერილობითი წყაროების შემსწავლელი სხვა დისციპლინებისაგან (დიპლომატიკა, კოდიკოლოგია, სიგილოგრაფია et cet.) ეპიგრაფიკული კვლევის მნიშვნელოვან ასპექტს სწორედ დამწერლობის, როგორც ტექნოლოგიის გამოყენების გააზრება წარმოადგენს, მით უფრო, რომ ეს ტექნოლოგია დღევანდელობის, ციფრული რევოლუციის მთავარი მოქმედი გმირია. საკვლევი წყაროების ელექტრონული დოკუმენტირებისა და კვლევის ახალი მეთოდების განვითარებასთან ერთად, ციფრულ ეპიგრაფიკას გაუჩნდა შესაძლებლობა ზემოთჩამოთვლილი „მონიშნული“ ისტორიული შრეების დოკუმენტირების (მარკირების), ბმულებით დაკავშირების (Linked data), ვიზუალიზებისა და კვლევისათვის.

ნიგნის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია ეპიგრაფიკის, როგორც საისტორიო დარგის, განვითარების გზა. ძირითადი ნაწილი ეთმობა ეპიგრაფიკული მასალის ციფრული გამოცემის სტანდარტს, სტანდარტის მიხედვით შესრულებულ პირველ და საუკეთესო კვლევით პროექტებს, მათ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. ვრცლადაა განხილული სტანდარტის ქართულ მასალაზე მორგების თავისებურებები და „საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის“ ციფრული გამოცემისას მიღებული პრაქტიკული გადაწყვეტილებები. მესამე ნაწილი წარმოადგენს სტანდარტის განსახორციელებლად შექმნილი ციფრული ხელსაწყოების ანალიზს, რომელიც მნიშვნელოვანწილად წარწერების ტექსტისა და მათი მეტამონაცემების Oxygen ხელსაწყოთი XML ფორმატში EpiDoc სტანდარტის მიხედვით კოდირებას ემყარება. ამ მეთოდოლოგიით შეიქმნა საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის ციფრული გამოცემა: [epigraphy.iliauni.edu.ge](http://epigraphy.iliauni.edu.ge)

# ნახილვი I

ეპიგრაფიკა, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა. ევროპაში წარწერების პირველი გამშიფრვლები ლათინურსა და ბერძნულში განსწავლული დიდგვაროვანი მოგზაურები იყვნენ, ამიტომაც ლათინური და ძველი ბერძნული წარწერების პირველი გამოცემები უსისტემოა. ასეთივეა საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ ნაშრომები, რომლებიც XIX საუკუნის მოღვაწეებს ეკუთვნით: დიუბუა დე მონპერე (de Montpéroux 1839), პლატონ იოსელიანი, მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი (თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი 1899), ლეონ მელიქსეთ-ბეგი (მელიქსეთ-ბეგი 1926).

წარწერის ტექსტი, როგორც წესი, წარმოადგენს მოკლე დოკუმენტურ არამხატვრულ ტექსტს. ობიექტები, რომლებზეც წარწერებია ნაკვეთი, ამოკანრული, მიწერილი ან ამოქარგული უპირატესად ხელოვნების ისტორიკოსებისა და არქეოლოგების შესწავლის საგანია, მათთვის ტექსტი მეორეული მნიშვნელობისაა. ციფრული გამოცემა კი წარწერების ახლებური აღქმის შესაძლებლობას იძლევა: EpiDoc სტანდარტის მიხედვით კოდირებულ ტექსტსა და ბმულებით გამდიდრებული აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, ციფრულ გამოცემაში გვერდიგვერდაა წარმოდგენილი წარწერის ტექსტური და არქეოლოგიუ-

რი მხარე. (Bodard 2008)

წარწერებისა და პაპირუსების ბეჭდური გამოცემისათვის საჭირო პირობით აღნიშნათა უნიფორმულ სისტემაზე 1931 წელს (7-12 სექტემბერი) ორიენტალისტთა მეთვრამეტე საერთაშორისო კონგრესზე ლაიდენში შეთანხმდნენ.<sup>1</sup> (ორიენტალისტთა პირველი საერთაშორისო კონგრესი პარიზში ჩატარდა 1873 წელს.<sup>2</sup>)

EpiDoc-ი, ეპიგრაფიკული და პაპიროლოგიური მასალის ციფრული სამეცნიერო გამოცემის სტანდარტი, სწორედ ლაიდენის კონვენციის მემკვიდრეა.

პირველი ევროპული ეპიგრაფიკული გამოცემების მსგავსად, საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების პირველი გამოცემებიც მოგზაურ-მეცნიერს, ი. ა. გიულდენშტედტს ეკუთვნის. მან საქართველოში 1771-1772 წლებში იმოგზაურა და დასავლეთ საქართველოს რამდენიმე ეპიგრაფიკული წარწერაც აღწერა. მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურების მასალების პირველ გამოცემაში (Guldenstadt 1787, 1791) წარწერების დიდი ნაწილი არ შესულა და ისინი მხოლოდ 1962-1964 წელს ორ ტომად, ქართულ თარგმანთან ერთად გამოიცა (გიულდენშტედტი 1962, 1964), ფაქტი მნიშვნელოვანია ერთი მხრივ იმით, რომ ეს იყო

---

1 The Study of Greek Inscriptions, A. G. Woodhead 1959 გვ. 6. Digital Papyrology II Case Studies on the Digital Edition of Ancient Greek Papyri Ed. Nicola Reggiani, 2018 გვ.121. The Eighteenth International Congress of Orientalists, R. L. Devonshire, The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland No. 1 (Jan., 1932), გვ. 111-113

2 Leiden Oriental connections, 1850-1940, ed. Willem Otterspeer, 1989 გვ.95



ქართული ეპიგრაფიკული მასალის თავმოყრის პირველი მცდელობა, მეორე მხრივ კი იმით, რომ საშუალება გვქვდა პარალელი გავავლოთ იმ პერიოდის ევროპაში გამოქვეყნებულ მასალასთან, რომელიც დიდ წილად ასევე მოგზაურობებისას გროვდებოდა.

განსხვავებით ევროპული კონტექსტისაგან, პირველი სამეცნიერო ექსპედიციები კავკასიაში რუსული სამხედრო ძალის გამოჩენას მოჰყვა და ამდენად, გვერდს ვერ ავუვლით ისტორიულ კონტექსტს, რომლის პირობებშიც დაიწყო საქართველოს ეპიგრაფიკის შესწავლა და ბეჭდური გამოცემა. ექსპედიციებს ეკატერინე მეორის მფარველობით გერმანელი მეცნიერები აწარმოებდნენ. ზემოთ ნახსენები იოჰან ანტონ გიულდენშტედტიც ერთ-ერთი იყო მათ შორის.



# „ბერძნული პროექტის“ როლი კავკასიის შესწავლაში ეკატერინე II და მის სამსახურში მყოფი ბერძნული სწავლულები

მეთვრამეტე საუკუნის დამლევს რუსეთის იმპერიის საზღვრები კავკასიისაკენ მოიწევა. ოსმალეთთან წარმოებული ომის ფარგლებში მოეწყო „არქიპელაგის ექსპედიცია“, დაიწყო პელოპონესის აჯანყება (ბერძნ. Οπλασις) და ეკატერინე მეორის კარზე ავსტრიის იმპერატორ იოზეფ მეორესთან მოკავშირეობით ე.წ. „ბერძნულ პროექტზე“ მუშაობა დაიწყო, რაც ოსმალეთის იმპერიის დამარცხებას და მისი ტერიტორიის, i.e. „ბიზანტიის ტერიტორიის“ რუსეთსა და ავსტრიას შორის განაწილებას გულისხმობდა.<sup>1</sup> გეგმაზე მუშაობდნენ ეკატერინე

---

1 Edgar Hösch: Das sogenannte „griechische Projekt“ Katharinas II. Ideologie und Wirklichkeit der russischen Orientpolitik in der zweiten Hälfte des 18. Jahrhunderts. Jahrbücher für Geschichte Osteuropas

მეორის მოხელეები (გეგმის პროექტი ეკუთვნოდა ა. ა. ბებზ-ოროდკოს, საბოლოო ცვლილებები კი გ. ა. პოტიომკინმა შეიტანა), 1780 წელს იოზეფ მეორის ელჩი, ლუდვიგ ფონ კობენცლი (Johann Ludwig von Cobenzl) იმყოფებოდა რუსი იმპერატორის კარზე, 1781 წლის მაისში ავსტრიისა და რუსეთის იმპერიების ალიანსი შეიკრა, ამას გარდა, არსებობს მიმოწერა ორ მონარქს შორის გეგმის დეტალებთან დაკავშირებით<sup>2</sup>.

ამ საერთო დიდი გეგმის ერთი კერძო ნაწილი იყო კავკასიის რუსეთის გავლენის სფეროში მოქცევა, „ბერძნული გეგმის“ ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატიც. თუმცა დარიალის ხეობა პირველმა რუსულმა ჯარმა გენერალ ტოტლებენის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1770 წელს ახალციხეში ოსმალეთზე იერიშის მისატანად გამოიარა. ერეკლე მეორესა და ჯარის მეთაურებთან უთანხმოების გამო (David Lang, 1962) (მიუხედავად ერეკლეს მცდელობისა ჯარის მოდერნიზება მოეხდინა, რისთვისაც ქართველი სამხედროების ევროპულ სასწავლებლებში გზავნიდა, ქართული ჯარს აკლდა თანამედროვე ცოდნა, მომზადება და შეიარაღება) გენერალმა ტოტლებენმა დატოვა ბრძოლის ველი, რითაც ქართულ ზეპირ ისტორიაში სამუდამო ადგილი მოიპოვა.

იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა დოქტორის ხარისხი 1767 წელს მიიღო ბერლინში. 1768 წელს კი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით პეტერბურგში ჩავიდა 1768-1774 წლების

---

(JGO), Neue Folge 12, 1964, S. 168–206

2 Alfred Ritter von Arneth, Maria Theresia und Joseph II., ihre Correspondenz 3. Band, Wien 1868, S. 256–259 (Smolensk, 14. Juni 1780).

ექსპედიციებში მონაწილეობის მისაღებად. ეს იყო კავკასიის სისტემური შესწავლის ერთ-ერთი პირველი ცდა (ჩვენთვის ყურადსაღები, ცხადია იმ ნიშნით, რომ ეპიგრაფიკული მასალაც შეგროვდა). გიულდენშტედტის ექსპედიცია იყო იმ დროისათვის ტიპური, (როგორც მაგალითად მოგვიანებით იყო ამერიკაში ლუისისა და კლარკის ექსპედიცია), განმანათლებლობის სულისკვეთებით წარმართული ექსპედიცია, რომლის მიზანიც იყო შესასწავლი რეგიონის ყოველ ასპექტზე — ბუნებრივ რესურსებზე, ფლორას, ფაუნას, გეოგრაფიასა და გეოლოგიაზე, ხალხზე, ეკონომიკასა და მმართველობაზე — დაკვირვება და მათი აღწერა. ასეთი დანვრილმანების წყალობით შემოგვრჩა გიულდენშტედტის მიერ აღწერილი ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთაგან ერთი, მწვანეყვავილას წარწერა მხოლოდ ამ საექსპედიციო ჩანაწერებშია დოკუმენტირებული და დღეს დაკარგულია.

გიულდენშტედტი ექსპედიციას წარმართავდა რუსული საიმპერატორო კარის წყალობით, სადაც უკვე რეალურ სახეს იძენდა „ბერძნული გეგმა“, ოსმალეთ-რუსეთის ომი კი ისევ მიმდინარეობდა. ნატურალისტი და მედიცინის დოქტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ნავთობისა და მინერალების სავარაუდო კერების აღწერას უთმობდა, თუმცა ასევე შეაგროვა მონაცემები მეცნიერებათა აკადემიის დავალებით ადგილობრივი ენების შესახებ, შექმნა ლექსიკონები. ექსპედიციის წევრები იყვნენ: ალექსი ბელიაევი, ბორის ზრიაკოვსკი, ადრიან სოკოლოვი, სტეპან კრაშენიკოვი, ფიტულეების ოსტატი სიმონ ტარბეევი და მხატვარი გრიგორი ბელი, რომელმაც ქართულ წარწერათა თერთმეტი ტაბულა შეასრულა.

გიულდენშტედტს კახეთი ერეკლე მეორემ მოატარა, იმერეთში

სოლომონ მეფე მასპინძლობდა, ასევე ეწვია რაჭას და სამხრეთ საქართველოს დავით ერისთავის მეგზურობით. ჩანაწერების სისტემატიზაციას გიულდენშტედტმა ერთი თვე დაუთმო სტეფანწმინდაში საიდანაც 1772 წელს პეტერბურგისაკენ გაეშურა. 1776 წელს გამართულ პეტერბურგის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის ორმოცდაათი წლის იუბილეზე, გიულდენშტედტმა ექსპედიციის მასალებზე დაყრდნობით წარმოადგინა მოხსენება ფრანგულ ენაზე.<sup>3</sup>

გარდა ახალგაზრდა ნატურალისტ გიულდენშტედტისა, ერეკლე მეორეს მოუწია შეხვედრა (ზოგი ცნობით, პირადად პოტიომკინის წარმოგზავნილ) გერმანელ მოგზაურ იაკობ რეინეგსთან. რეინეგსი დიდ დროს ატარებდა მეფესთან, ცხოვრობდა მის სასახლეში და გიულდენშტედტის კვლევით ჩანაწერებთან ერთად, მისი ცნობებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის განსაზღვრაში. ეს იყო ევროპელთა მიერ საქართველოს შესწავლის პირველი მცდელობები, ამ მცდელობათა შედეგებია პირადი წერილები და რუსეთის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის სხდომებზე წაკითხული მოხსენებები, სადაც მოინახებოდა ადგილი საქართველოსა და კავკასიის ეპიგრაფიკისათვისაც, როგორც ათ-

---

3 А. И. Гильденштедт. Речь о произведениях российских, способных к содержанию всегда выгодного превосходства в продаже в чужие края российских товаров пред покупкою иностранных, говоренная декабря 29 дня 1776 года, в публичном С.-Петербургской императорской Академии наук собрании, во время полувекового её юбилея // Академические известия на 1780 год. — ч. IV. — СПб., 1780. — С. 356.. — Цит. по: Вернадский В. И. Труды по истории науки в России / Сост. Бастракова М. С., Неаполитанская В. С., Фирсова Г. А.. — М.: Наука, 1988. — С. 229. — 404 с. — ISBN 5-02-003321-9.

ასწლეულთა განმავლობაში გავლენის სფეროების მარკირების დოკუმენტისათვის.

საშუალება გვაქვს დავაკვირდეთ, როგორ აღიქვამდა ამ სამეცნიერო, ახალი ტიპის, ინტერესს საქართველო: „[კათოლიკური ეკლესიის მისიისა და 1629 წლის ლექსიკონის გამოცემის] შემდეგ დროს, გერმანიის მოგზაურებმა საქართველოში მგზავრობა დაიწყეს და ამ დროიდან გერმანელთა ტომის მსწავლულთა და მოგზაურთა უფრო უკეთ მოჰკიდეს ხელი საქართველოს ერის და სამეფოს (NB. გიულდენშტედტი ქართლ-კახეთის სამეფოში ჩამოდის 1770 წლის იანვარში, i.e. ფაქტობრივად ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის სამეფოში) ცხოვრების შესწავლას, ვიდრე ამას სწავლობდნენ იტალიელნი და რომის ტახტის მისიონერები. გერმანელთა ტომის მსწავლულ მოგზაურებმა რომაელებს გადააჭარბეს. რომაელები საქართველოს ყურადღებას აპყრობდნენ მარტო ქრისტიანობის მხრით და ამის სიბრალულით, რასაც ყოველთვის თან სდევდა კათოლიკის სარწმუნოების გავრცელების სასარგებლო ცნება ქართველებში, გერმანელ მოგზაურთა და მსწავლულთა ცდა კი სულ სხვანაირ იქმნა დაწყობილი, მათ საქმეთ და საგნათ გახდა არა მარტოთ საქართველოს სამეფოს წყობილების გაცნობა და სხ.“ (ზაქარია ჭიჭინაძე, 1920). ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ რუსული საიმპერატორო კარის მიერ დაფინანსებული ევროპელი მკვლევრების აკადემიურ კარიერას განსაზღვრავდა კავკასიის უცნობი ახალი არქეოლოგიური მასალის შესახებ შექმნილი ნაშრომები და მოხსენებები.

1774 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ახლა რუსეთის იმპერიას, მათ შორის, წინასწარი საქსპედიციო შესწავლის საფუძველზე, უკვე გარკვეული ჰქონ-

და საკუთარი ინტერესები კავკასიაში.

XVIII საუკუნის დასასრულამდე მოგზაურობა კავკასიაში დაკავშირებული იყო დიდ სიძნელებთან, რუსეთის საიმპერატორო კარისა თუ მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაფინანსებულ ექსპედიციებს ცხადია დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა და წინასწარ საფეხურს წარმოადგენდა კავკასიის ყოველგვარი რესურსის მომავალი ათვისებისათვის. ასეთი იყო გულდენშტედტის ექსპედიცია, ამ მიზნითვე იყენებდა საიმპერატორო კარი რეინეგის ცნობებს. ანექსიის შემდეგ სურათი იცვლება, იზრდება ევროპელი მოგზაურების რაოდენობა კავკასიაში, „ინყება კვლევითი სამუშაოები კავკასიის კოლონიური ექსპლუატაციის მიზნით“. სწორედ ამ მეორე ტალღის ექსპედიტორთა შორის იყო კარლ ედუარდ ფონ აიხვალდი, ბერლინის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ვილნოს უნივერსიტეტის დოქტორი და ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი ექსპედიცია კავკასიაში 1825-1816 წლებში მოეწყო ყაზანის უნივერსიტეტის ორგანიზებით. ექსპედიციის შედეგად შეგროვებულ მასალასა და მდიდარ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოცა: *Reise auf dem Caspischen Meere und in den Caucasus*, 2 vols. (Stuttgart and Tübingen, 1834-1838).



# პირველი არქეოლოგიური აღმოჩენები Portae Caucasica-ს გზაზე და კავკასიის მუზეუმი

კავკასიონის გადასალახად საუკუნეთა განმავლობაში ერთი გზა არსებობდა – დარიალის ხეობა. არაგვის ხეობაში მიმავალი ვიწრო და საშიში გზა გადაულახავი კედლით სრულდებოდა. მისი კონტროლი საუკუნეთა განმავლობაში დასავლეთ აზიის სახელმწიფოთა ინტერესს წარმოადგენდა. 1783 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ, ვლადიკავკაზსა და თბილისს სწორედ ეს ძნელად გასავლელი გზა აკავშირებდა. 1799 წელს რუსულ ჯარს გენერალ ლაზარევის მეთაურობით საქართველოში შემოსასვლელად 36 დღე დასჭირდა. 1801 წელს საქართველოს ანექსიის შემდეგ დაიწყო „საქართველოს სამხედრო გზის“ მშენებლობა, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა და მთიულეთის აჯანყების (1804) ერთ-ერთ მიზეზად იქცა. 1811 წლიდან მშენებლობა რუსეთის იმპერიის გზების სამმართველოს მეთვალყურეობის ქვეშ გადავიდა, 1814 წელს ეკიპაჟების მიმოსვლა დაიწყო, 1827 წელს კი ფოსტა ამუშავდა. 1855 წელს დაიწყო სამხედ-

რო გზაზე ტრასის მშენებლობა. იმის გამო, რომ გზა მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლებს ჩაუვლიდა (მცხეთა, სამთავრო, სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი, ანანური, სტეფანწმინდა) მშენებლობისას არქეოლოგიური აღმოჩენები ხშირი იყო, გა-



The Miriam and Ira D. Wallach Division of Art, Prints and Photographs: Photography Collection, The New York Public Library. "Voenno-Gruzinskaia doroga. St. Mtskhet. Fot. I.Abuladze." New York Public Library Digital Collections. Accessed December 2, 2020. <https://digitalcollections.nypl.org/items/510d47db-a5fa-a3d9-e040-e00a18064a99>

ნსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „ყაზბეგის განძისა“<sup>1</sup> და სამთავროს სამაროვანის აღმოჩენა.

აღმოჩენილი მასალის შესახებ ცნობები ქვეყნდებოდა ქართულ, რუსულ, გერმანულ პერიოდიკაში, თუმცა არასრულყოფილი შესწავლისა და დოკუმენტირების გამო, მასალის მეცნიერული ღირებულება ზარალდებოდა. კავკასიის სიძველეების პატრონობა ძირითადად არაპროფესიონალების ხელში იყო და ხშირად ეს მასალა რუსეთისა და სხვა ქვეყნების მუზეუმებში ხვდებოდა. შესაბამისად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში სამუზეუმო დაწესებულების არსებობის აუცილებლობა გაჩნდა.

1852 წელს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიურმა განყოფილებამ თბილისში დააარსა პირველი მუზეუმი კავკასიაში 2. 1855 წლის 19 სექტემბერს ქაჯაჯაძისა და სა-

---

1 1852 წელს სტეფანწმინდაში სამუშაობის დროს შემთხვევით აღმოჩნდა ნივთები, რომელთა შორის ხარის ოქროს ჯანდაკებაც ყოფილა. ნივთები უკვალოდ დაიკარგა (წითლანაძე 1976: 5). ამ აღმოჩენამ ინტერესი გამოიწვია და საფუძველი დაუდო ექსპედიციებს შემდეგი ასი წლის განმავლობაში. „განძის“ აღმოჩენის ადგილას 1878 წელს გათხრები ჩაატარა ფრიდრიხ ბაიერნმა, აღმოაჩინა ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ნახევრად ძვირფასი ქვებით შემკული სამკაულები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები და რკინის შუბისპირები (ბაიერნი 1885: 41-45). „ყაზბეგის განძი“ ძვ. წ. VI-V სს-ით თარიღდება. „განძის“ დიდი ნაწილი ინახება მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში, სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (წითლანაძე 1976: 12-94). გათხრებს სტეფანწმინდაში შემდეგი წლების განმავლობაში რუსი მკვლევრები აწარმოებდნენ და აღმოჩენილი მასალა პეტერბურგში, ერმიტაჟში იღებდა ბინას.

2 გამყრელიძე გ. 1996: ქართული არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია, საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბ., გვ. 6-7.

კომენდანტო ქუჩების კუთხეში ამ მუზეუმმა მოაწყო პირველი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო შემოწირულობების სახით მიღებული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ბოტანიკური და ზოოლოგიური მასალები. სწორედ ამ კოლექციებმა დაუდეს საფუძველი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებს<sup>3</sup>.

საქართველოს ეპიგრაფიკის პირველ გამომცემლებს შორის იყო კიდევ ერთი გერმანული წარმოშობის მეცნიერი, ფრიდრიხ ბაიერნი, რომელიც მეფისნაცვალმა ვორონცოვმა 1849 წელს ჩამოიყვანა კავკასიაში. 1856 წელს დიდუბეში „ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტის“ კოლექციების გამოფენა გაიხსნა, ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური მასალები.<sup>4</sup> ბაიერნს გაუმართლა, 1867 წელს საგზაო სამუშაოების დროს მცხეთაში, სარკინიგზო ხიდის მახლობლად, აღმოაჩინეს ქვათლილი ამოკვეთილი ბერძნული წარწერით, (ვესპასიანეს წარწერა 75 წლისა). შემდგომ წლებში მცხეთაშივე, სამთავროს ველზე და ბებრისციხის მიდამოებში, ისევ შემთხვევით, უძველესი სამარხები აღმოჩნდა. ამ აღმოჩენებმა გამოიწვია რუსეთის იმპერიის ადგილობრივი მმართველობის დაინტერესება და 1871 წელს ფრიდრიხ ბაიერნს სთხოვეს სამთავროს მინდორზე გათხრების წარმოება. აქ გაითხარა ქვისფილებისაგან შედგენილი სამარხები, საიდანაც ამოიღეს კერამიკა, ლითონის იარაღები, სამკაულები. ხსენებულმა ნივთებმა შემდეგ კავკასიის მუზეუმის ფონდები შეავსო. 1872 წელს Zeitschrift für Ethnologie-ში ბაიერნი აქვეყნებს

---

3 ბოლქვაძე ს. 1974: აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციები, სსმმ, XXX-B, თბ., გვ.154

4 ჩხეიძე გ. 2003: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი. გვ.44

წერილს მცხეთის გათხრებთან დაკავშირებით<sup>5</sup>.

1872 წელს თბილისში შეიქმნა კავკასიის არქეოლოგიური კომიტეტი, რომელსაც ისტორიულ-არქეოლოგიური სამუშაოების კოორდინაცია უნდა მოეხდინა კავკასიაში. 1879 წელს ფრანგი არქეოლოგი ერნესტ შანტრი სამთავროში თხრის რამდენიმე სამარხს. მცხეთის ამ არქეოლოგიური აღმოჩენების შემდეგ კავკასიისადმი და, კერძოდ, საქართველოსადმი არქეოლოგთა ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. შანტრი გახდა ბაიერნის ნაშრომის (Contribution à l'archéologie du Caucase / par Frédéric Bayern; précédée d'une introduction biographique par M. Ernest Chantre / Lyon : Impr. Pitrat aîné, 1882) რედაქტორი (Fitful Histories and Unruly Publics Rethinking Temporality and Community in Eurasian Archeology, Brill 2016). 1885 წელს ბერლინში გამოიცა ფრიდრიხ ბაიერნის ნაშრომი, რომელშიც სხვებთან ერთად განხილულია სამთავროს ველის სამარხებიც. ბერლინის ანთროპოლოგიური საზოგადოების ჟურნალის (ტ. 18, 1886) მიხედვით, ფრიდრიხ ბაიერნი საზოგადოების ნევრ-კორესპონდენტად ირიცხება 1881 წლიდან და მის სამყოფელად მითითებულია ტფილისი, საქართველო. (გვ.75) ჩანაწერთა ჩამონათვალში ვხვდებით ფრიდრიხ ბაიერნის ჩანაწერებს „კავკასიასა და სამხრეთ რუსეთში შეგროვილი მონეტებისა და მედლების კატალოგი 1845

---

5 ბაიერნის წერილები ასევე ქვეყნდებოდა სხვა ჟურნალებსა და კრებულებში Mittheilungen der Anthropologischen Gesellschaft im Wien;  
Известия Императорского Общества естествознания, антропологии и этнографии (“О новых раскопках Самтаврского могильника” в сообщении г. Зейдлица; т. XLIX, вып. Вестник Общества Древн. Русск. Искусства, 1874-1876, III (Доисторический Кавказ на Самтаврском кладбище) Труды Московского Археологического Общества т. VIII (“О результатах своих раскопок”, “О мраморном камне близ Келоссур”)

წლიდან 1882 წლამდე“.

1865 წელს თბილისში სერგეევის ქუჩაზე (მაჩაბლის ქუჩა) კერძო სახლის სამ ოთახში კავკასიის მუზეუმის გახსნა. მუზეუმის დამაარსებელი იყო გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი პლატონ იოსელიანი [გამყრელიძე გ. 1991: საქართველოს არქეოლოგიის ისტორიიდან, თბილისი. გვ.17], მისი ხელმძღვანელი კი გუსტავ რადე<sup>6</sup>, ეროვნებით გერმანელი დანცინგიდან, პროფესიით ბუნებისმეტყველი და ეთნოგრაფი. მუზეუმის შექმნა მიზნად ისახავდა კავკასიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მასალების შეგროვებას, მათ ფონდებში მოთავსებას, გამოფენას და შესწავლას [ჩხაიძე 2003:56], ეს როგორც ჩანს, ემსახურებოდა რუსეთის ხელისუფლების ამოცანას შეესწავლათ და თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ კავკასიაში არსებული ბუნებრივი და ადამიანური რესურსები.

1867 წლის 2 იანვარს, კავკასიის მუზეუმი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, სადაც ნაჩვენები იყო გეოლოგიური, ბოტანიკური, ზოოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები. ეთნოგრაფიული და ისტორიული შინაარსის მასალები მოთავსებული იყო პირველ დარბაზში, კერძოდ კი შემთხვევით ნაპოვნი, ანდა ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი არქეოლოგიური ნივთები: ქვ-

---

6 В 1863 г. Г.И. Радде по рекомендации академика Петербургской АН и первого директора Главной физической обсерватории А.Я. Купфера получил назначение на должность помощника директора Тифлисской физической обсерватории. Перед выездом на Кавказ 9 (21) июня Г.И. Радде обвенчался с дочерью академика Ф.Ф. Брандта, Марьей Федоровной. Затем молодые посетили родителей Густава Ивановича в Данциге, и через Берлин, Дрезден и Константинополь (Стамбул) в середине сентября прибыли в Тифлис.

ის ხელცულები, ხელსაფქვავები, ბრინჯაოს პატარა ფიგურები, რკინის ისრისპირები, ანტიკური ხანის ნივთები, სამკაულები. გამოფენის შესახებ 1867 წლის 5 იანვარს გაზეთი „კავკაზი“ წერდა – „ფართის სივინროვის გამო სამუზეუმო მასალათა ექსპონირება სისტემატიზაციისა და სამუზეუმო წესების სრული დაცვით ძნელი იყო, ამიტომ ეს უფრო იყო მასალების ჩვენება, ვიდრე თემატური გამოფენა“ (Кавказ:1867). სამუზეუმო მასალათა სისტემატიზაციასა და მეცნიერულ შესწავლაში კავკასიის მუზეუმს დახმარებას უწევდა ბევრი ცნობილი მეცნიერი, კერძოდ არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ მასალათა გამოკვლევაში მონაწილეობას იღებდნენ – ბროსე, გრიმი, ტიზენჰაუზენი, ივერსენი, ბართოლომეი, ბერუე<sup>7</sup>, მორგანი, ვირხოვი, ივანოვი და სხვ. (ჩხაიძე 2003:70)]. 1872 წლის მაისში კავკასიის მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში პეტრე პირველის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო გამოფენაზე. კავკასია წარმოდგენილი იყო ცალკე პავილიონად. 1136 ექსპონატიდან ჯილდო 118 ნივთმა მიიღო (ჩხაიძე 2003:86). მუზეუმმა კავკასიის საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიული ექსპონატები ასევე წარმოადგინა 1873 წელს ნოემბერში ვენის საერთაშორისო გამოფენაზე. 1879 წელს თბილისში მოეწყო ახალი გამოფენა, სადაც ექსპონატები სისტემური წესით იყო წარმოდგენილი და უპირატესობა თვალსაჩინოებას ენიჭებოდა. არქეოლოგიური ნივთები ოთხ დარბაზში იყო მოთავსებული. პირველ დარბაზში გამოფენილი იყო

---

7 “1886, А. П. Берже был произведён в тайные советники, об этом событии он писал другу М. И. Семевскому: «Я произведёнъ въ тайные совѣтники. Первое извѣстiе объ этомъ получилъ отъ Великой Княгини Ольги Ѳеодоровны, затѣмъ поздравительныя телеграммы отъ Его Высочества Николая Михайловича, кн. Дондукова-Корсакова, барона А. П. Николаи и генерала Шепелева.» — письмо от 20 января 1886 года (альбом М. И. Семевского «Знакомые»)

ბაიერნის მიერ მცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილი ნივთები, მეორე დარბაზში - კაჟისა და ობსიდიანის ნივთები, ბრინჯაოს სამკაულები, მესამე დარბაზი ყუბანის სიძველეებს ჰქონდა დათმობილი, მეოთხე - ძველ ნივთებს დაღესტნიდან, დიგორიიდან, ოსეთიდან, ხევსურეთიდან (ჩხაიძე 2003:105). 1881 წლის 8 სექტემბერს თბილისში ჩატარებული არქეოლოგიური ყრილობის მონაწილეთათვის კავკასიის მუზეუმმა მოაწყო ექსპოზიცია, რომელსაც მნიშვნელოვნად გაფართოებული და შევსებული სახე ჰქონდა.

პარალელურად, ჩნდება ქართული ინიციატივაც: 1885 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკასთან ექვთიმე თაყაიშვილი აარსებს „საარხეოლოგო მუზეუმს“, სადაც ხელნაწერებთან ერთად არქეოლოგიურ ნივთებსაც აგროვებენ (მუმლაძე 2007:85).

1888 წელს თბილისში გაიხსნა საეკლესიო მუზეუმიც, რომელიც სიონის ტაძართან მდებარეობდა და კავკასიის მუზეუმის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან კოლექციებს განაგებდა. კოლექცია გარდა საეკლესიო ნივთებისა მცხეთაში, გარეუჭში, სოხუმში მოპოვებული ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური ნივთებს აერთიანებდა (მუმლაძე 2007:88).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპასა და რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა დროებითი გამოფენები, რომლებიც პერიოდულად ეწყობოდა და ამა თუ იმ დარგის განვითარებას და პოპულარიზაციას ეძღვნებოდა. ამგვარ გამოფენებში საქართველოც დიდი ინტერესით და აქტიურობით იღებდა მონაწილეობას. 1900 წელს პარიზში „ტრანპლეს“ სასახლეში მოეწყო ასეთი გამოფენა. საქართველო რუსეთის



პავლიონში იყო წარმოდგენილი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ექსპონატებით. ეს ექსპოზიცია დაკომპლექტდა კავკასიის მუზეუმის კოლექციებით. გაგზავნილი ექსპონატებიდან 60-მა მიიღო ჭილდო, მუზეუმის დირექტორი გუსტავ რადე დაჯილდოვდა ოქროს მედლით, ხოლო კონსერვატორ ფ. კენიგს კი ბრინჯაოს მედალი მიენიჭა (გაზ. კვალი:1900).

მეოცე საუკუნის დასაწყისში კავკასიის მუზეუმმა შეწყვიტა აქტიური საექსპოზიციო საქმიანობა, და დახურა თავისი გამოფენები.

საქართველოს წარწერების კვლევა-ძიებისა და გამოცემისათვის მნიშვნელოვანი იყო დიმიტრი ბაქრაძის თაოსნობით 1881 წლის 8-21 სექტემბერს თბილისში გამართული „რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა“. ყრილობაში 400 მეცნიერო მონაწილეობდა, წარმოდგენილი იყო 8 სექცია. სტუმრებისათვის სპეციალურად მოეწყო არქეოლოგიური ნივთების გამოფენა, ექსკურსიები მოეწყო მცხეთაში, უფლისციხეში, გელათში. ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს, რომ ამ თავყრილობაზე „...რატომღაც არც (ფრიდრიხ) ბაიერნი გამოჩენილა, არც მისი მცხეთას ნამუშევარი და, საერთოდ, არც ჩვენში წარმოებული თხრის შედეგები“. მიუხედავად ამისა, კონფერენცია კავკასიაში ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობის იყო.<sup>8</sup>

მეოცე საუკუნის დამდეგს შეიქმნა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი. 1920 წელს მოეწყო ქართული ხუროთმოძღვრული ნიმუშების გამოფენა, რომე-

---

8 Труды V-го археологического съезда в Тифлисе (Москва, 1887)

ლზეც უმთავრესად ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩატარებული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალა იყო წარმოდგენილი(ჩხაიძე 2003:200). ექსპოზიციაში ნაჩვენები იყო ქართული ხუროთმოძღვრების განვითარება VIს-დან XVIIIს-მდე.

კავკასიის მუზეუმის ბაზაზე, რომელიც თავის ფონდებში 180000 ექსპონატს ითვლიდა, 1919 წლიდან იქმნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. მის ფონდებში გადავიდა ასევე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ექსპონატებიც.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ანექსიის შემდგომ, 1923 წელს, მუზეუმის შენობის ახლადდამთავრებულ კორპუსში მოეწყო ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა.

1930 წლის ივლისიდან ოქტომბერამდე გერმანიასა და ავსტრიაში შუა საუკუნეების ქართული კულტურის ძეგლების გამოფენა მოეწყო, გამოფენა ევროპაში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორებმა გიორგი ჩუბინაშვილმა და შალვა ნუცუბიძემ წაიღეს. გამოფენა 8 ივლისს ბერლინში გაიხსნა, შემდეგ ნაჩვენები იყო: კიოლნში, ლაიფციგში, მიუნხენსა და ვენაში.<sup>9</sup>

---

9 Notes on Georgian Minor Art of the Post-Byzantine Period Wachtang Z. Djobadze The Journal of the Walters Art Gallery, Vol. 23 (1960), pp. 97-117.

# სააზიო საზოგადოებები და ეკიბრაფიკული კვლევა საქართველოში

რუსული საიმპერატორო სამეცნიერო საზოგადოების მიერ დაფინანსებულ ევროპელ მეცნიერთა ექსპედიციებს მოგვიანებით მოჰყვა ევროპის სააზიო საზოგადოებების ინტერესი და ექსპედიციები (მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლებში დიუბუა დე მონპერე და მარი ბროსე, მეცხრამეტე საუკუნის დამლევს – ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტი), შემდეგ კი ქართველ მეცნიერთა ნევრობა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სააზიო საზოგადოებებში<sup>1</sup>. სააზიო საზოგადოებათა ინტერესს უპირ-

---

1 თეიმურაზ ბაგრატიონი – პარიზის სააზიო საზოგადოება ანდრია გუგუშვილი – დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოება, ნამდვილი წევრი (“There were rumors of Soviet countermeasures against the Allies in the Near East as well. On April 12 Laurence Collier met with Andria Gugushvili of the Paris-based Caucasian Committee, which was tied to the anti-Soviet organization Prometheus...” Operation Pike: Britain Versus the Soviet Union, 1939-1941 By Patrick R. Osborn pp. 168) ექვთიმე თაყაიშვილი – პარიზის ნუმისმატა საზოგადოების

ველესად რუსეთის იმპერიის მიერ ოსმალეთისაგან შემოერთებულ ტერიტორიებზე აღმოჩენილი ლურსმული წარწერები წარმოადგენდა. ამ წარწერებს კი (განსხვავებით მეთვრამეტე საუკუნის დამლევს აღმოჩენილი ყაზბეგის განძისაგან, რომელიც პეტერბურგში გაიგზავნა) ბინა უკვე დაედოთ თბილისში, კავკასიის მუზეუმში.

XIX საუკუნის ოციან წლებში ლურსმული წარწერების მიმართ სამეცნიერო ინტერესის ზრდასთან ერთად ყურადღება მიაქცევს ურარტულ წარწერებსაც. 1827 წელს ქალაქ ვანის მიდამოებში ურარტულ ლურსმულ წარწერებზე სამუშაოდ საფრანგეთის სააზიო საზოგადოებამ მოავლინა ახალგაზრდა მეცნიერი შულცი. ანტუან-ჟან სან-მარტინმა ქვეყნის მთავრობის წინაშე შულცს რეკომენდაცია გაუწია, რათა იგი ვანის ტბის მიდამოებში ექსპედიციით გაეგზავნათ. შულცმა გადმოიწერა ვანის მიდამოებში დაცული მრავალი ურარტული ლურსმული წარწერა<sup>2</sup>.

---

(1922 წლის 4 თებერვალი), ხოლო შემდეგ საფრანგეთის სააზიო საზოგადოების (1925) ნამდვილ წევრი ექვთიმე თაყაიშვილი, 1926 წელი სააზიო საზოგადოების სხდომაზე: „ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონებო, ბატონებო. თქვენ ერთად ახალი მონაცემების განხილვის დაწყებამდე, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია შეგახსენოთ, რომ ამა წლის 4 ივნისს ასი წელი შესრულდება რაც სააზიო საზოგადოების სხდომაზე ახალგაზრდა ფრანგმა ორიენტალისტმა მარი ბროსემ საჯაროდ წაიკითხა მოხსენება სათაურით: „შენიშვნა ქართული ენის შესახებ“ ამ დღიდან დასაბამი მისცა საქართველოს სიძველეთა მეცნიერულ შესწავლას საფრანგეთსა და ევროპაში.“ (ფრანგულ ენაზე, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში არქივის ნომერი N1162)

გიორგი წერეთელი – დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოება, საპატიო წევრი

- 2 In 1826 the French Government sent the young scholar Friedrich Schulz to the Lake Van area in eastern Asia Minor to record the unusual cuneiform inscriptions seen by travellers there. Sadly, before

მიუხედავად იმისა, რომ მას წარმოდგენა არ ჰქონდა ლურსმული დამწერლობის სისტემაზე, ასლები ძალზე ზუსტი აღმოჩნდა<sup>3</sup>. შულცმა ასევე გადმოხატა ვანის კედელზე ამოკვეთილი არგიშთი I-ის ვრცელი წარწერა. თუმცა მის აღმოჩენათაგან ყველაზე შთამბეჭდავი კელიშინის ასირიულ-ურარტული სტელაა (800 BC; ქურთ. ცისფერი ქვა). ერაცისა და ირანის საზღვარზე 1827 წელს აღმოჩენილი ეს წარწერა მიხაკო წერეთელმა ამოიკითხა და 1933 წელს გამოსცა<sup>4</sup>. 1829 წელს ექსპედიციაში მყოფი შულცი ადგილობრივ გამცილებელს ემსხვერპლა, მის ჩანაწერებში ვანის ციხის გარშემო აღმოჩენილი 42 წარწერის ასლი აღმოჩნდა, მონაცემები 1840 წელს პარიზში გამოქვეყნ-

---

Schulz could return to Europe he was murdered (1829) by a Kurdish chief, whose guest he had been. But miraculously his papers were recovered. This is their publication from *Journal Asiatique* (1840), 138 .pdf pages including Schulz' French description of the inscriptions and their locales, plus 72 pages of the actual Urartian inscriptions themselves in the young man's accurate pen and ink transcriptions. Urartian cuneiform was subsequently deciphered by the scholars Hincks and Sayce in the 1880s.

- 3 ურარტული ლურსმული წარწერების ასლები გამოიღეს სხვა მკვლევრებმაც (რაულინსონმა, მიულბახმა, მოლტკემ) XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქმე ძირითადად საკვლევო მასალის შეგროვებით შემოიფარგლა. მხოლოდ ასურული წარწერების ამოკითხვის შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი ხელი მოეკიდათ ურარტული წარწერების ამოკითხვისათვისაც. 1882 სეისმა ბრიტანეთის სააზიო საზოგადოების (Royal Asiatic Society (RAS)) ჟურნალში (*The Journal of the Royal Asiatic Society (JRAS)*) გამოაქვეყნა ურარტული წარწერებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა, რომელიც მოიცავდა იმ დროისათვის ცნობილ ყველა წარწერასა და მოკლე გრამატიკულ მიმოხილვას, ამის შემდეგ ურარტული წარწერებით დაინტერესება მნიშვნელოვნად გაიზარდა.
- 4 De TSERETHELI, M. "ÉTUDES OURARTÉENNES: I. — LA STÈLE DE KÉLICHINE." *Revue D'Assyriologie Et D'archéologie Orientale* 30, no. 1 (1933): 1-49. Accessed October 21, 2020. <http://www.jstor.org/stable/23294219>.

ნდა<sup>5</sup>.

შულცის მასალა აზიის ქვეყნების და მათ შორის საქართველოს სიძველეთა შესახებ სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა პარიზის სააზიო საზოგადოებასთან ერთად დაარსებულ პერიოდული ჟურნალში “Journal Asiatique”, ჟურნალის რედაქტორი და სააზიო საზოგადოების დამაარსებელი არმენოლოგი ა. ჟ. სენ-მარტენი იყო. პარიზშივე გამოიცა კლაპროთის „მოგზაურობა საქართველოში“.

საფრანგეთის სააზიო საზოგადოების შექმნას რიგი წინაპირობები ჰქონდა. 1795 წელს პარიზში დაარსდა “École Spéciale”, რომელიც აზიის ქვეყნების საელჩოებისა და საკონსულოებისათვის მთარგმნელებსა და თარჯიმნებს ამზადებდა. 1818 წელს კალკუტაში დაარსდა „სააზიო საზოგადოება“, რომელთანაც თანამშრომლობდა “École Spéciale”-ის სამეცნიერო საბჭო და აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერულ დარგად ქცევას ისახავდა მიზნად<sup>6</sup>. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ Collège de France-ის პროფესორები, რომლებიც აქ მომავალ ორიენტალისტებს ასწავლიდნენ, მათ შორის მომავალ ქართველოლოგს, მარი ბროსეს, შაპოლიონს, არმენოლოგ სენ-მარტენს, სინოლოგ ს. დე სასსა და სხვებს. 1822 წელს პარიზში დაარსებულმა სააზიო საზოგადოებამ თავი მოუყარა მთელი ევროპის ორიენტალისტებს. საუკუნის შემდეგ ეპიგრაფიკული მასალის ბეჭდური გამოცემის სტანდარტი, ლაიდენის კონვენცია, სწორედ ორიენტალისტთა კონგრესზე იქნა მიღებული და შეთანხმებული.

---

5 Urartian Inscriptions at Van by Friedrich Schulz

6 მანანა ზუციშვილი, პარიზის „სააზიო საზოგადოება“ და პირველი სამეცნიერო კავშირი საქართველოსთან

1822-23 წლებში “Journal Asiatique”-ში ქვეყნდება მარი ბროსეს არმენოლოგიური და ქართველოლოგიური ნაშრომები. ბროსეს ამ პერიოდის მოღვაწეობა მთლიანად სააზიო საზოგადოებას უკავშირდება, მისი ნაშრომები მუდმივად იბეჭდება ჟურნალში, საზოგადოების ნამდვილ წევრად არჩევის შემდეგ კი ბროსეს საკვლევად მიჩენილი აქვს კავკასიის რეგიონი, იგი წარმართავს კორესპონდენციებს საქართველოს სიძველეთა შესახებ.

1825 წელს საფრანგეთის ორიენტალისტთა საზოგადოებამ „სააზიო საზოგადოების“ ნამდვილ წევრად აირჩია პირველი ფრანგი ქართველოლოგი, მარი ბროსე და საკვლევად განუსაზღვრეს საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხები საქართველოს ისტორიიდან და სიძველეთმცოდნეობიდან. სააზიო საზოგადოების ჟურნალში იბეჭდება მარი ბროსეს გამოკვლევა ქართული პოეზიის შესახებ, აღმოსავლური ენების ინსტიტუტში იგი ცდილობს ქართული ენის კათედრის დაარსებას, ამასვე ცდილობს სამეფო კოლეჯსა და „ნარწერათა და სიტყვიერების აკადემიაში“ (Académie des Inscriptions et Belles-Lettres), თუმცა უშედეგოდ.

1837 წელს მარი ბროსემ<sup>7</sup> გამოსცა დიუბუა დე მონპერეს მიერ შეკრებილი მასალების ნაწილი, 1840 წელს კი მთლიანად გამოაქვეყნა მის ხელთ არსებული ეპიგრაფიკული მასალა. საქა-

---

7 მარი ბროსემ პირველად 1825 წელს სამეცნიერო საზოგადოების (პარიზის „აზიური საზოგადოება“) ყურადღება სინოლოგიური შრომებით მიიპყრო, თუმცა ბოლზოტინოვის ნაშრომის წაკითხვის შემდეგ საქართველოთი დაინტერესდა, დაიწყო ქართულის შესწავლა, გაეცნო გრამატიკულ ლიუტერატურას (მაჯიო, ფატერი, ფირალოვი) გაეცნო პარიზის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერებს, დაიწყო მუშაობა ბაქარის ბიბლიაზე (1743).

რთველოს ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ იმ დროისათვის ძალზე ცოტა იყო ცნობილი. დოსითეოს პატრიარქის „იერუსალიმის ისტორიაში“ იხსენიებოდა მოქვის ეკლესიის ბერძნული წარწერები, გიულდენშტედტს მოჰყავდა რამდენიმე ქართული წარწერა (გირშელის ტაძრისა სტეფანწმინდაში, გრემის, ახტალის, მცხეთის და ქუთაისის (Guldenstadt 1787, 1791)), რამდენიმე წარწერა მოხმობილი იყო ზაქარია ჭიჭიანისა და კლაპროტის ნაშრომებში. გამბას მოეპოვებოდა ცნობა გელათისა და მცხეთის წარწერებზე, ხოლო გელათის არაბული წარწერა გამოქვეყნებული ჰქონდა ხ. ფრენს. ბროსემ პარიზში გამოაქვეყნა ნუზალის და ჭულუხევის წარწერები – ამით ცნობები იმჟამად ცნობილ ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე ამოიწურება. (ხანთაძე 1966) ბროსეს სისტემატურად აწვდიდნენ ქართული წარწერების გადმონაწერებს, მონახაზებს, ზოგჯერ გაშიფრულ ტექსტებს: თეიმურაზ ბატონიშვილი, პლატონ იოსელიანი. დ. მელვინეთუხუცესიშვილი, რ. ერისთავი, საქართველოს ეგზარქოსი ევგენი (ბაჟანოვი), ბართლომეი, ნერსეს სარგისიანი, არქიტექტორები ივანე მუსილოვი და აბრამ ნოროვი.

ბროსეს წყალობით, პეტერბურგის აზიური მუზეუმის ქართულ ფონდში გაჩნდა ქართული ეპიგრაფიკული მასალა. მას ჯერ ნიკოლოზ ქუთათელაძემ გაუგზავნა იმერეთში დაცული საფლავის ქვები, ხატები და სხვა ნივთები, შემდეგ ასეთივე მასალა მიიღო ბროსემ პლატონ იოსელიანისაგან. ასზე მეტი წარწერა მიიღო მუზეუმმა საქართველოს ეგზარქოსი ევგენისაგან. ბროსემ გამოქვეყნა 50-მდე წარწერა, რომელთა უმრავლესობა დიუბუას მიერ იყო შეკრებილი, ბროსემ ისინი შეავსო ნიკო ქუთათელაძის, მ. ბარათაშვილისა და სხვა პირებისაგან მიღებული მასალებით, ამ წარწერებს შორის იყო: გელათისა და ბაგრატის, კაცხის, ნიკორწმინდის, ჯრუჭის, თამარციხის,



ანყურის, ხერთვისის, ახალციხის, მარტვილის, ხოფის, შემოქმედის, გორის, უფლისციხის, ატენის, მცხეთის და ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული ძეგლები. ბროსემ გაშიფრა და თარგმნა ეს წარწერები. წარწერები იძლეოდნენ რიგი მოვლენების ზუსტი დათარიღების საშუალებას, შეიცავდნენ ცნობებს ზოგიერთი უცნობი პირის შესახებ. იგი ასევე ყურადღებას აქცევდა წარწერების თავისებურებებს, ამ შემთხვევაში ეყრდნობოდა დიუბუა დე მონპერეს ჩანახატებს, არ მსჯელობდა წარწერათა სიძველის შესახებ, მხოლოდ ყურადღებას აქცევდა ასოთა მოხაზულობის თავისებურებებს: მაგალითად, ლომისის წარწერის ასოების კუთხოვანებას, თამარციხის წარწერებს ბროსეს მიხედვით „ჩიტისმაგვარი“ მოხაზულობა ჰქონდათ, ხოლო ჯრუჭისა და ხერთვისის წარწერები შერეული ხელით იყო შესრულებული. (ხანთაძე 1966)

XIX ს-ის 30-50-იანი წლებში სამეგრელოს დიდმა მთავარმა დავით დადიანმა სამეგრელოს და აფხაზეთის 14 ეკლესიისა და მონასტრის ხატებიდან გადაღებული 40-ზე მეტი ვრცელი ქართული ჭედური წარწერის პირი გადასცა მ. ბროსეს, რომელმაც ისინი სათანადოდ გამოიყენა.<sup>8</sup>

**„მრავალი წესი, მეთოდი და ხერხი, რომლითაც მ. ბროსემ პირველმა წამოიწყო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შეკრება, შესწავლა და გამოქვეყნება ამჟამადაც არა თუ შეწყნარებულია და მისაღები, არამედ ასეთი სახის სამუშაოს წარმატებით შესრულების ერთადერთ სწორ გზად არის**

---

8 ეს მასალა ამჟამად დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის პეტერბურგის განყოფილებაში, მარი ბროსეს არქივში – Н 29 (G39, H26): Р. Орбели Грузинские Рукописи Института Востоковедения АН СССР, вып. II, 1956 с. 89-90.

**მინეული“.** (სილოგავა, მარი ბროსე – ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი 1986) ყურადღება უნდა გავამახვილოთ მარი ბროსეს მიერ გამოცემის ტექნიკური დახვეწისათვის განუღვანლზეც. იმხანად სათანადო შრიფტების უქონლობის გამო ქართული მასალები იბეჭდებოდა ძველი ხუცური შრიფტით<sup>9</sup>. ბროსემ 1837 წლის 28 ივნისს, როდესაც ის მხოლოდ მეორედ ესწრებოდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სხდომას, მოითხოვა ქართული მხედრული შრიფტის დამზადება. შრიფტი დაამზადეს და 1838 წელს უკვე გამოყენებოდა, იმავე წელს აკადემიამ ბროსეს ინიციატივითა და მეთვალყურეობით სომხური შრიფტიც შექმნა. (ხანთაძე 1966) ქართულის იმ მატრიცების მიხედვით, რომელიც ბროსემ თეიმურაზ ბატონიშვილის შეკვეთით და მის მიერვე მიწოდებული ნიმუშების საფუძველზე 1837 წელს პარიზში დაამზადებინა ფრანგ მხატვარსა და გრავიორს დელაკონს (გორდებიანი 1965) მივიღეთ ქართული შრიფტი „აკადემიური“, რომლითაც იწყებოდა XIX საუკუნეში ყველა ქართული წიგნი, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ე.წ. ვენური შრიფტის ჩამოსხმამდე 1866 წელს. (სილოგავა, მარი ბროსე – ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი 1986)

1830 წლის რევოლუციის დასაწყისისათვის ბროსე მზად იყო საქართველოში მისი დასაწყებად, თუმცა გარემოებების ცვლილებამ პროექტი ჩაშალა, რასაც რამდენიმეწლიანი უიმედობა მოჰყვა, ბროსეს ამ დროისათვის სამი შვილი ჰყავს და ტიპოგრაფიაში უწევს მუშაობა. 1834 წელს განათლების მინისტრი ფრანსუა გიზო, თავადაც ცნობილმა ისტორიკოსი, დაინტერესდა ბროსეს ქართველოლოგიური შრომებით და შესთავაზა სამეცნიერო ექსპედიციის ორგანიზება საქართველოში,

---

9 ხუცური შრიფტი მე-18 საუკუნეში თეიმურაზ მეორის რუსეთში ყოფნის დროს ჩამოისხა.

თუმცა ამჯერად წინააღმდეგად რუსული ხელისუფლება იქცა, რომელმაც თეიმურაზ ბატონიშვილებთან კავშირის გამო ბროსეს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობაზე მიიტანა ეჭვი და ქვეყანაში შეშვებაზე უარი უთხრა.

პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის პრეზიდენტმა, გრაფმა სერგეი უვაროვმა, მას შემდეგ რაც აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ხელმძღვანელმა ბერნარ შარმუამ დატოვა თანამდებობა, მარი ბროსე პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში სომხური და ქართული ლიტერატურის სპეციალისტად მიიწვია. ბროსე 1837 წლის ივნისში კი ოჯახთან ერთად ჩავიდა პეტერბურგში. (ცხოვრობდა თეიმურაზ ბატონიშვილს მეზობლად და ჰქონდა მასთან მიმოწერა).

1838 წელს უვაროვის განკარგულებით ბროსე ჩადის მოსკოვში, რათა გამოიკვლიოს იქაური ქართული სათვისტომოს მფლობელობაში არსებული სიძველეები. უვაროვი ამ ექსპედიციის შესახებ წერს თავის რაპორტში იმპერატორისადმი: „ბროსემ აღწერა საფლავის ქვების 85 წარწერა ქართველ თავადებისა, რომლებიც რუსეთში პეტრე დიდის დროს ჩამოვიდნენ, იპოვა 13 პერგამენტზე შესრულებული, კარგად შენახული ხელნაწერი, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ აღმოჩენათაგან იყო ვახუშტის ცნობილი ნაშრომის მანუსკრიპტი, რომელიც შეიცავს გეოგრაფიულ აღწერილობასა და საქართველოს ყველაზე სრულყოფილ ისტორიას 1755 წლამდე“.<sup>10</sup>

---

10 “Описал Броссе 85 надписей на гробницах грузинских князей и вельмож, прибывших в Россию при Петре Великом. <...> Нашёл 13 рукописей на пергаменте очень древних и хорошо сбереженных. <...> Но всего важнее манускрипт известного творения Вахушта, которое содержит в себе географическое описание и самую полную историю Грузии по 1755 год“.

ბროსეს პეტერბურგში გადასვლით ევროპული ქართველოლო-  
გიის ცენტრმა რუსეთის იმპერიაში გადაინაცვლა. ასე შეხვდა  
ერთმანეთს პეტერბურგში ქართულ სიძველეთა შესწავლის ევ-  
როპული და ქართული გზები.

ასეთი შორეული შედეგი ჰქონდა ფრანგული სააზიო  
საზოგადოების ორიენტალისტურ კვლევა-ძიებას.

## კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტი და ეპიგრაფიკა კვლევა-ძიება საქართველოში

ოსმალეთის იმპერიისაგან რუსეთის მიერ ახლადმოპოვებულ ტერიტორიებზე 1898 წლამდე შენარჩუნებული იყო სამხედრო მდგომარეობა და შესაბამისად, ექსპედიციის წარმოება (თუკი ის უმარავი ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული პრობლემის გადალახვის შემდეგ მაინც შედგებოდა) კვლავ სახიფათო საქმედ რჩებოდა.

ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის სარეკომენდაციო წერილში, რომლითაც დაიწყო ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის მოგზაურობა კავკასიაში, თეოდორ მომზენი წერდა, რომ ექსპედიციას ჰქონდა გამგზავრების უფლება, თუკი ადგილობრივი ქურთები ნებას დართავდნენ<sup>1</sup>. თეოდორ მომზენს, რომელმაც ბერლინის აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური კლასის მდივანობისას, გარდა ფუნდამენტური ეპიგრაფიკული კორპუსის, Corpus Inscriptionum Latinarum-ის გამოცემისა, უმარავი სამეცნიერო

---

1 "In dem Briefe, der mir die Bewilligung der Akademie der Wissenschaften ankündigte, äußerte Theodor Mommsen, daß wir nun reisen könnten, „wenn die Herren Kurden es gestatten“

პროექტის ორგანიზება მოახერხა, დიდი გავლენა ჰქონდა ლემან-ჰაუპტის სამეცნიერო მოღვაწეობაზე და კერძოდ, მის ეპიგრაფიკულ მოგზაურობაზე კავკასიაში.

ვანის ურარტული წარწერების კვალს კავკასიაში ჩამოყოლილი კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტი წერს: „პროვინციული დაყოფის მიხედვით, რუსეთის არმენია ეკუთვნის კავკასიის გენერალგუბერნიას ტრანსკავკასიურ მთავრობებს ელიზაბეთპოლისა და ნაწილობრივ ტფილისისა, მაშინ როდესაც ყარსის რეგიონი, რომელიც ასევე სომხეთის ნაწილია და თურქეთმა რუსეთს 1877 წლის ომის დასასრულს გადასცა, ჯერ კიდევ სამხედრო ადმინისტრაციის ქვეშაა“.<sup>2</sup>

სარეკომენდაციო წერილის მიღების შემდეგ, ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტი სტამბოლში ჩადის და ახლა აქ ელის მგზავრობისთვის საჭირო დოკუმენტებს:

„მისმა უდიდებულესობამ, იმპერატორმა გვიბოძა ნებართვა და დაფინანსება სარეზერვო ფონდიდან, იმ პირობით, რომ მოგზაურობა არ დაინწყებოდა, სანამ გერმანიის საელჩო კო-

---

2 “Der Provinzial Einteilung nach gehört das russische Armenien zum Generalgouvernement des Kaukasus, und zwar zu den transkaukasischen Gouvernements Elisabethpol und — teilweise — Tiflis, während das ebenfalls größtenteils armenische Gebiet von Kars, das zu Ende des Russisch-Türkischen Krieges 1877 von der Türkei an Rußland abgetreten wurde, noch unter militärischer Verwaltung steht.“ Ferdinand Friedrich Carl Lehmann-Haupt, Armenien, einst und jetzt, Volume 1, 1910  
ამასვე მოწმობს გენერალ ს.მ. მავესკის რაპორტი. მავესკისა და ლემან-ჰაუპტის გზა რამდენჯერმე გადაიკვეთა, საბოლოოდ კი რუსი გენერლის ტფილისში დასახლებული ასული განდა ჰაუპტის კოლექციის (ლოურსმული წარწერების ესტამპაჟების) მემკვიდრე.

ნსტანტინეპოლში არ გასცემდა თანხმობას, მიმდინარე არეულობების გამო. ადრიან 1898 წელს, ყველა პირობა საბოლოოდ შესრულდა. პასპორტი გაიცა, რუსეთის, სპარსეთის და თურქეთის მთავრობები ინფორმირებულნი იყვნენ და ჩვენ გვეცნობა, რომ თურქეთის ვილაიეთებში მგზავრობისათვის საჭირო ინდივიდუალური დოკუმენტები (ტესკერე) გაგზავნილი იყო ტფილისში, გერმანიის საკონსულოში.<sup>3</sup> ამ ორი მონაკვეთიდანაც ცხადია, რომ ლურსმული წარწერებით დაინტერესებული მკვლევარი, რომლის ძირითადი კვლევითი მიმართულება ბიბლიის არქეოლოგია გახლდათ, გვერდს ვერ აუვლიდა თბილისის არამხოლოდ იმიტომ, რომ აქ იყო რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული ცენტრი, არამედ იმიტომაც, რომ კავკასიის მუზეუმს უკვე მოეყარა თავი ლურსმული წარწერებისათვის. ლემან-ჰაუპტი თავის მოგონებებში აღწერს შესანიშნავ სურათს კავკასიის მუზეუმში მუშაობისა:

„დოქტორ რადეს, მუზეუმის შემქმნელსა და დირექტორს, სტელა მუზეუმის ბაღში, შუშის ჩარჩოში აქვს მოთავსებული ქა-

---

3 Seine Majestät der Kaiser hatte die Bewilligung seines Zuschusses aus dem Dispositionsfonds davon abhängig gemacht, daß die Reise nicht angetreten werde, ehe die Kaiserlich Deutsche Botschaft in Konstantinopel dies mit Rücksicht auf die Unruhen für tunlich erklärte. Für das Frühjahr 1898 waren endlich alle Voraussetzungen erfüllt. Der Kabinettspaß wurde ausgefertigt, die Regierungen Rußlands, Persiens und der Türkei benachrichtigt und die Zusendung der für die einzelnen türkischen Wilajets bestimmten Beglaubigungsschreiben (Teskere's) an das deutsche Konsulat in Tiflis uns zugesagt. Ibid. იქვე: „გენერალგუბერნატორმა გაგზავნა წერილი ჩვენს საკონსულოში, ტფილისში, რომ ყველა ხელისუფალი სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიისა 1898 წლის იანვარს გაფრთხილებული იყო, რათა დაგვზმარებოდნენ ყოველმხრივ, გარდა გათხრებისა. ჩვენ გვქონდა ამ დოკუმენტს ასლი, რომელიც ყველა კარს აღებდა“.

რისა და უამინდობისაგან დასაცავად...<sup>4</sup> დღემდე სიამოვნებით ვიგონებ საათებს, რომელიც ტფილისის მუზეუმის ეზოში 1898 წლის გაზაფხულსა და 1899 წლის ზაფხულში მუშაობაში გავატარე... იქაური ფერები და სურნელი აყვავებული ვარდისა, ქედნების ღულუნი ვოლიერებში, უცვლელად შემორჩა ჩემს მხსიერებას...<sup>5</sup> რა ხშირად ვიგონებდი მოგზაურობისას ჩემს სამუშაო სივრცეს ტფილისის მუზეუმში, როცა ბნელი ეკლესიების კედლებიდან და კლდეებიდან მიწვედა ასლების აღება.<sup>6</sup>“

კავკასიის მუზეუმისაგან ლურსმული წარწერები მემკვიდრეობით მიიღო საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავში დაცულია სხვადასხვა ეპოქის 22 წარწერა, ურარტული ღვთაების (ან მეფის) ერთი ქანდაკება და ერთი წიქსვილის ქვა. ამ 22 წარწერიდან, სამი

---

4 Dr. Radde, der Schöpfer und Direktor des Museums, die in dessen Garten aufgestellte Stele durch Glas und Rahmen vor Wind und Wetter schützen lassen

5 Noch heute denke ich besonders gern der Stunden angestrigter Arbeit, die ich im Garten des Tifliser Museums wie im Frühjahr 1898 so im Hochsommer 1899 zubrachte, und die durch die reizvolle Umgebung eine eigenartige Weihe erhielten. Die Farbe und der Duft der dort blühenden Rosen und das Girren der Turteltauben in den Volieren haften mir unvergeßlich in der Erinnerung.

6 Doch hatten wir bereits in der Heimat nachgewiesen, daß es der Sohn Argistis' L, Sardur, der Gegner Tiglatpilesers IV., sei. Dieser Text ist im Gegensatz zu der Inschrift des Vaters vortrefflich erhalten und nur geringen Umfangs. Die Lesung des Originals macht keinerlei Schwierigkeiten, und der handliche Stein gab mir bequeme Gelegenheit, die Anfertigung von Abklatschen gleich an einem chaldischen Original zu üben. Wie oft habe ich, als ich im Verlaufe der Reise die Anfertigung von Abklatschen auf Felsenhöhen, in unwirtlichen Schluchten oder im Dunkel armenischer Kirchen auszuführen oder zu beaufsichtigen hatte, des behaglichen Raumes im Tifliser Museum gedacht, der mir für diese Übungen zur Verfügung stand.



– იმფუნის ეპოქას ეკუთვნის (817 BC); თოთხმეტი – მენუას ხანას (810-785 BC); თითო წარწერითაა წარმოდგენილი არგიშთი პირველი (780 BC), სარდური, არგიშთის ძე (760/765-733 BC) და რუსა პირველი (733-714 BC); უცნობი მეფის (სავარაუდოდ resp. გიორგი წერეთელი არგიშთი პირველის) ორი ფრაგმენტი და ერთი ნატყუარი წარწერა.<sup>7</sup>

7 თბილისში, როგორც ჩანს, სამუზეუმო ექსპონატებთან ერთად თავს იყრიდა ნაყალბევი არქეოლოგიური მასალაც, კვლავ ლემან-ჰაუპტის საექსპედიციო ჩანაწერების მიხედვით: „... აგორზე შესრულებული ამ შუმერული წარწერების ნაწილი უკვე ცნობილი იყო, რომელთაგან ზოგი ლუვრში, ზოგი კი ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. ერთი სხვა ეგზემპლარი მე თავად შევიძინე ადგილზე, ხორსაბადში. მიუხედავად ამისა, ტფილისური [წარწერის] ტექსტი ღირებულია, რადგანაც მასში დაცულია წაკითხვა ჯერჯერობით ძალზედ საეჭვო ადგილისა. სავარაუდოა, რომ კავკასიის მუსლიმი მცხოვრები ბაბილონში, ქარბალაში (რომელიც შიტური აღმსარებლობის ადამიანისათვის უწმინდესი ადგილია) მდებარე აღის საფლავზე პილიგრიმობისას გადააწყდა შუამდინარულ აგურს, რომელმაც შემდეგ ბინდა ტფილისის მუზეუმში დაიდო. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა გამოგვერკვია, რომ სავარაუდოდ, ქარბალადან სწორედ ამ გზით ჩამოაღწია ამ და სხვა საეჭვო ღირებულების „სიძველეებმა“ ტფილისში. სასტუმრო „ლონდონის“ კიბის კედლებზე გამოფენილი იყო სიძველეთა ფოტოები, მათ შორის ლურსმული წარწერებისა: მოუქნელი ყალბი ასლები, როგორც მცოდნე თვალი ერთი შეხედვით შეატყობდა. სხვა მხრივ აუცილებლად სანახავ სიძველეთა ამ კოლექციის თვალიერებისას, რომელიც ფოტოგრაფ როინოვს შეეკრიბა, მათ ორიგინალებსაც გადავაწყვიდი და დაჟინებულ შეკითხვებზე პასუხად მომიწია გულისტკივილით მეცნობებინა [როინაშვილსათვის], რომ ნდობითა და საკმაოდ დიდ ფასად შესყიდული ეს „სიძველეები“, არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა. ეჭვები „სიძველეთა“ ავთენტურობის შესახებ, უკვე გამოეთქვათ მასთან, მაგრამ ეს ეჭვები ისევ სხვა არქეოლოგებს გაეფანტათ. [სიძველეთა] ჰოვნის ადგილად, მან ქარბალა დაასახელა. უსიამოვნო ამბავი კი თავშეკავებით მიიღო. მიუხედავად ამისა, მეორე დილით, როდესაც ცნობა მოვიდა, რომ ბატონი როინოვი ღამით გულის შეტევისაგან გარდაცვლილიყო, ძალიან შევეშფოთდი. ლურსმული წარწერის ძიება, რომლის შესახებაც ცნობებს

1. ნვასტანი. იშფუნი ა. დასაწყისი; ბ. შუა ნაწილი; ც. ბოლო
2. ნვასტანი. იშფუნი ა. დასაწყისი; ბ. შუა ნაწილი; ც. ბოლო
3. ნვასტანი. იშფუნი ა. დასაწყისი; ბ. შუა ნაწილი; ც. ბოლო
4. ვანი. მენუა ა. დასაწყისი; ბ. შუა ნაწილი; ც. ბოლო
5. ვანი. მენუა ა. დასაწყისი; ბ. შუა ნაწილი; ც. ბოლო
6. ღედი-ქილისა (ვარაგ-ქილისა). მენუა ა. დასაწყისი; ბ. შუა ნაწილი; ც. ბოლო
7. ვან-კალყა. მენუა;
8. ანზაფი. მენუა. წინა მხარე (თორმეტსტრიქონიანი წარწერა), მარჯვენა მხარე (ექვსტრიქონიანი წარწერა)
9. მუში. მენუა
10. ზივინი. მენუა
11. ზივინი. მენუა
12. სალქეჰ. მენუა
13. ვანი. კურშუნ-ჯამუც
14. სილქეჰ. მენუა
15. სილქეჰ და კარმირავორ-ვანქ. მენუა დასაწყისი
16. სილქეჰ და კარმირავორ-ვანქ. მენუა. შუა ნაწილი
17. სილქეჰ და კარმირავორ-ვანქ. მენუა. ბოლო
18. სარაყამიში. არგიშთი
19. ვანი, არგიშთი (?) ფრაგმენტი 1
20. ვანი, არგიშთი (?) ფრაგმენტი 2
21. ადამხანი. სარდური
22. ვანი. აიგისტანი. რუსა
23. თუთანი, საძირკველში ჩატანებული ნატყუარი წარწ-

---

იძლეოდნენ ჰივერნატი და მიულერ-სიმონისი წიგნში "Du Caucase au Golfe Persique", ექსპედიციისა და ტფილისში პირველი დიდი ექსკურსიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა."

ერა

24. ვანი. ღვთაების (?) ქანდაკება

შინაარსის მიხედვით გვხვდება საამშენებლო წარწერები (8); სამხედრო ლაშქრობისა და დაპყრობის აღმნიშვნელი წარწერები და საკულტო წარწერები (ყველაზე მცირე ნაწილი).

„საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“ 1939 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნიკო მარის სახელობის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტური ინსტიტუტმა გიორგი წერეთლის ავტორობით გამოცა (რედ. სიმონ ჯანაშია). გამოცემაში, გარდა უშუალოდ წარწერის ტექსტებისა, მოცემულია ძეგლების აღწერილობა, საძიებლები, სატრანსკრიფციო ნიშანთა ნუსხა, ტაბულები და ფოტოპირები. საგულისხმოა აქცენტები, რომელსაც ავტორი წინასიტყვაობაში სვამს:

„რეკოლუციამდე ეს წარწერები უყურადღებოდ ეწყო საქართველოს მუზეუმის სარდაფებში და მაშინ, რა თქმა უნდა, არავის უფიქრია შეესწავლა ძველი წინააზიური სამყაროს ამ ერთ-ერთი უძლიერესი ხალხის ეს მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული მასალა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, იმ განსაკუთრებულ მზრუნველობასა და ყურადღებასთან დაკავშირებით, რომელსაც იჩენს პარტია და ხელისუფლება წარსულის კულტურულ ღირებულებათა მეცნიერული შესწავლის მიმართ, შეიქმნა ჩვენში ყველა პირობა ამ ძეგლების დეტალურად დამუშავებისა და, ამასთან ერთად, ძველი ვანის ენისა და კულტურის შესწავლისათვის.“ საბჭოთა მკითხველისათვის განკუთვნილ ამ სენტიმენტს მოსდევს ცნობა, რომლის მიხედვითაც ცხადია, გიორგი წერეთლისათვის ცნობილი იყო ფრიდრიხ

ლემან-ჰაუპტის ექსპედიციის და ძეგლების უკვე არსებული გამოცემების შესახებ: „...ზოგიერთი წარწერა გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერაა ნაპოვნი 1898-1899 წწ. ამ წარწერებიდან იმ თავითვე გადაღებულ იქნა ფოტოგრაფიები და ესტამპაჟები, რომლებიც შემდეგ ClCh<sup>8</sup>-ისათვის გამოიყენეს.“

ლემან-ჰაუპტმა ამ მოგზაურობისას არტურ ლაისტის მეშვეობით გაიცნო ილია ჭავჭავაძე და ჩანაწერები მათი ურთიერთობის, ილიას მკვლევლობისა და დაკრძალვის ემოციურ სურათებსაც ინახავს.<sup>9</sup>

ბოლოს ლემან-ჰაუპტი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე სტუმრობდა თბილისს და რამდენადაც ცნობილია, თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზეც კითხულობდა ლექციებს, თუმცა დამადასტურებელ დოკუმენტებს ვერსად მივაკვლიეთ. თბილისიდან გამგზავრების წინ, ლემან-ჰაუპტმა ლურსმულ წარწერათა ესტამპაჟები გენერალ მავესკის ქალიშვილს გადასცა.

---

8 “Corpus Inscriptionum Chaldicarum”, Berlin 1928 and 1935

9 მე ვესტუმრე ილია ჭავჭავაძეს ქალაქის ბინაშიც და მამულშიც, 1902 წელს კი მოხარული ვიყავი მემასპინძლა მისთვის ბერლინში და გამეტარებინა მშვენიერი, სამახსოვრო საათები მასთან და მის მეუღლესთან ერთად. მისი შეკრული, ძლიერი სხეული, მის გახსნილი, ინტელექტუალური ნაკვთები და განსაკუთრებით მიმზიდველი ხასიათი სამუდამოდ დარჩება ჩემს მახსოვრობაში. Sowohl in der Stadtwohnung wie auf dem Landgute bin ich bei Ilja Tschawtschawadse zu Gast gewesen und habe später im Jahre 1902 die Freude gehabt, ihn in Berlin zu begrüßen und mit ihm und seinen Damen schöne, erinnerungsreiche Stunden zu verleben. Seine gedrungene kräftige Gestalt, seine offenen, intelligenten Züge und sein äußerst gewinnendes Wesen werden mir allzeit unvergeßlich bleiben.

# პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ

1914 წელს, როდესაც ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ეპიგრაფიკის კურსის კითხვას შეუდგა, უკვე დაწყებული ჰქონდა მუშაობა გამოკვლევაზე – „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“. ილია აბულაძის ცნობით, ქართული უნივერსიტეტის მოთხოვნით, ნაშრომი შევსებული და დასრულებული სახით 1926 წელს თბილისში გამოიცა: „ქართული პალეოგრაფიის ფუძემდებლური ეს ნაშრომი, ქართული უნივერსიტეტის მოთხოვნით წარმოიშვა.“ (ჯავახიშვილი, თხზულებანი 1996) 1926 წლის გამოცემას წინ უძღვის 1925 წლის 9 თებერვლით დათარიღებული წინასიტყვაობა: „წინამდებარე გამოკვლევა „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“ დაწყებული მქონდა 1914 წელს, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ეპიგრაფიკის კურსის კითხვას შევუდექი, მაგრამ შევსებული და დამთავრებული მაქვს 1918-1921 წწ. ჩვენი უნივერსიტეტის

გახსნის შემდგომ, სადაც ამ ხნის განმავლობაში სხვათა შორის ქართული პალეოგრაფიის კურსსაც ვკითხულობდი“ (ჯავახიშვილი, თხზულებანი 1996) (ჯავახიშვილი 1926) აღნიშნული ნაშრომი შევიდა ჯავახიშვილის თხზულებათა მეცხრე ტომში, განსაკუთრებით საინტერესოა მისი შესავალი მიმოხილვა, სადაც ცხადად ჩანს თუ რამდენად სრულყოფილი იყო ივანე ჯავახიშვილის ცოდნა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული გამოცემებისა და სტანდარტებისა, აქვეა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვანი ქართული გამოცემების აღწერა და მათი ნაკლოვანებების შეფასებაც.

ეპიგრაფიკის ისტორიის მიმოხილვას ივანე ჯავახიშვილი იწყებს 1681 წელს გამოცემული *De re Diplomatica*-თი, ფრანგი ბენედიქტელი ბერისა და მეცნიერის ეს ნაშრომი პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის ფუძემდებლურ ნაშრომად ითვლება. მაბილონმა ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ საფრანგეთის მეფის, ლუი XV-ის დაფინანსება მიიღო და სამეფო ბიბლიოთეკისათვის ხელნაწერებისა და შუასაუკუნეების დოკუმენტების შეკრების მიზნით ფლანდრიაში, შვეიცარიაში, გერმანიასა და იტალიაში იმოგზაურა. მაბილონი გახდა ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი საფრანგეთის წარწერებისა და მხატვრული სიტყვიერების აკადემიისა (*Académie des Inscriptions et Belles-Lettres*).

ივ. ჯავახიშვილი თავის მიმოხილვას აგრძელებს კიდევ ერთი ბენედიქტელი ბერის, მონფოკონის მიერ 1708 წელს გამოქვეყნებული შრომით – ბერძნული პალეოგრაფია, ანუ ასოთა წარმოშობისა და განვითარების შესახებ (Bernard de Montfaucon, 1708 “*Paleographia graeca sive de ortu et progressu litterarum*”). თავისი შრომებით მონფოკონი არქეოლოგიისა და პალეოგრა-

ფიის ფუძემდებელი გახდა ევროპაში.

ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს ეპიგრაფიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ორი კვლევითი ორგანიზაციის დაარსებაზე, ესაა საფრანგეთის სამეფო ქარტიის სკოლა (École Royale des Chartes, 1821) და ავსტრიის ისტორიის კვლევის ინსტიტუტი (Institut für Österreichische Geschichtsforschung, 1854). აღსანიშნავია, რომ დღეს ამ ორივე დაწესებულების მკვლევრები ჩართულები არიან ციფრული ეპიგრაფიკის თანამედროვე პროექტებში.

ივანე ჯავახიშვილი იცნობს მეცხრამეტე საუკუნის ყველა მნიშვნელოვან გამოცემას პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის შესახებ: de Wailly “Éléments de paléographie” 1838; A. Chassants “Paléographie des chartes et des manuscrits du XI au XVII siècle” 1839; J.B. Silvestre – “Paléographie Universelle” 1839-41; Dr. W. Larfeld “Griechische Epigraphik”, 1914.

მიმოხილვაში შესულია ქართული ეპიგრაფიკის ქრონოლოგია, 1881 წელს თბილისში დიმიტრი ბაქრაძის თაოსნობით გაიმართული არქეოლოგთა მეხუთე ყრილობიდან<sup>1</sup> მოყოლებული 1902 წლის ნიკო მარი ათონური ხელნაწერების გამოცემით დასრულებული, (Агиографические Материалы по рукописям Ивера, 1902)

---

1 „შრომები გამოქვეყნდა 1887 წელს, იმ დროისათვის ეს ტაბულა დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს და სამწუხარო იყო, რომ როგორც პალეოგრაფიულ ნიმუშებს, ისევე ამ ტაბულას შესაფერისი გამოკვლევა არ უძღოდა წინ და ეს ძვირფასი მასალები გამოუყენებელი დარჩა“.

მიუხედავად გამოცემების ნაკლებობისა, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს მათ მნიშვნელობას ეპიგრაფიკული გამოცემების საერთო სიმწირის ფონზე, ასევე გამოცემებზე დართული ტაბულებისა და თვალსაჩინოებების როლზე საუბრისას იხსენიებს დიუბუა დე მონპერეს გამოცემებსა და მათზე დართულ სამოცამდე ტაბულას.

საბოლოოდ, ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის დაარსებამდე, ქართული წარწერების გამოქვეყნებისათვის ყოველდღიური გაზეთის გარდა სხვა არავითარი ორგანო არ არსებობდა და „მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში ქართული ეპიგრაფიკული მასალაც არის გაბნეული“. მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში გამოქვეყნებული დიუბუა დე მონპერეს, მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, ივანე როსტმაშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომებში დიდი ეპიგრაფიკული მასალა იყო თავმოყრილი, მაგრამ არც ერთ მათგანში ეს ძეგლები ეპიგრაფიკული შესწავლის საგანი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ საისტორიო წყაროების ფუნქციით იყო გამოქვეყნებული, ამასთან არც თუ იშვიათი იყო ამ გამოცემებში უზუსტობები (უცხოელი ავტორების შემთხვევაში შესაძლოა იმიტომაც, რომ მასალას მათ არაპროფესიონალი პირები აწვდიდნენ საქართველოდან, როგორც ეს მაგალითად მარი ბროსეს შემთხვევაში იყო) და თვალსაჩინოებების (ტაბულებისა და ფოტოპირების) ტექნიკური წუნით გამოცემა: „თავისთავად ცხადია, რომ ქართულ წარწერათა სრული ახალი კრებულის Corpus Inscriptionum Georgicarum-ის გამოცემაც აუცილებელია, მაგრამ ასეთ დიდ საქმეს შესაფერი წინასწარი მუშაობა უნდა უძღოდეს წინ“. (ჯავახიშვილი, თხზულებანი 1996). ქართული წარწერების კორპუსის პირველი ტომი ამ მოსაზრების გამოთქმიდან თითქმის ორმოცდაათი წლის შემდეგ, 1980 წელს გამოიცა



და მასში შევიდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს V-X საუკუნეების ორასზე მეტი ლაპიდარული წარწერა. გამოცემა შეადგინა ნოდარ შოშიაშვილმა. ძველი ქართული წარწერების ეს კორპუსი მიზნად ისახავდა „ქართული წარწერების სრული კრებულის (როგორც უკვე გამოცემულის, ისე გამოუცემელის) სათანადო, სპეციალური არქეოგრაფიული წესების მიხედვით გამოცემას“. აღსანიშნავია, რომ ლაპიდარული წარწერების კორპუსი გამოიცემოდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ეპიგრაფიკის სექციის მიერ, საქართველოს ისტორიის წყაროების სერიის ფარგლებში. რედაქტორის, ბაზა ალექსიძის, წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ წარწერათა ტექსტები ქვეყნდება სრული მეცნიერული აპარატით, გრაფიკული მონახაზებითა და ფოტოპირებით, რომელთაც უნდა დააკმაყოფილონ ისტორიკოსების, ფილოლოგების, ენათმეცნიერებისა და სხვა ჰუმანიტარულ დისციპლინებში მომუშავე სპეციალისტთა ინტერესები. შემთხვევითი არ არის, რომ დასკვნაში ხაზგასმულია: „მიუხედავად იმისა, რომ „ქართული წარწერების კორპუსის“ პირველი ტომი წინასწარ შემუშავებული პრინციპების მიხედვით არის შედგენილი, მისი სამეცნიერო მიმოქცევაში შესვლის შემდეგ, ალბათ, მაინც უკეთ გამოჩნდება ამ პრინციპების ზოგადი ნაკლი ან გაუმჯობესების შესაძლებლობა.“ (შოშიაშვილი 1980)

## „...საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ“

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ, 20-იანი წლებიდან კულტურის ძეგლების შეკრება, დაცვა და გამოცემა სახელმწიფოს ხელში გადადის. 20-იან წლებში ქართველოლოგიის ორი ცენტრი არსებობდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. 1923-1927 წლებში გ. ბოჭორიძემ გამოავლინა VII-XI საუკუნეების ეპიგრაფიკული ძეგლები, მათ შორის წარწერა ქვაჯვარის კვარცხლბეკზე სოფელ წყისედან. 1936 წლიდან ბოლნისში, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც აღმოაჩინა X-VIII საუკუნეების ათასზე მეტი ლაპიდარული წარწერა, მათ შორის ბოლნისის თარიღიანი საამშენებლო წარწერა. მოპოვებული ეპიგრაფიკული მასალა შეისწავლა და გამოაქვეყნა ლ. მუსხელიშვილმა. (მუსხელიშვილი 1938) 1936 წელს დაარსდა საქართველოს კულტურის კვლევის კიდევ ერთი ცენტრი – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმიკი),

რომლის ბაზაზე შემდგომში შეიქმნა ქართველოლოგიური კვლევის სამი ინსტიტუტი: ისტორიის, ენისა და ქართული ხელოვნების ისტორიისა. ენიმიკის მოამბეში იბეჭდებოდა მათ შორის ეპიგრაფიკული კვლევებიც, მაგალითად, აქ გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის წერილი არმაზის ბილინგვის შესახებ, რომელიც 1943 წელს საერთაშორისო ჟურნალში, *Journal of Roman Studies*-შიც დაიბეჭდა (აღსანიშნავია, რომ ენიმიკის მოამბეში გამოქვეყნებულ წერილებს ერთვოდა აბსტრაქტები ინგლისურ ენაზე).

განსხვავებით „რევოლუციამდელი“ პერიოდისაგან, საბჭოთა ხელისუფლების დროს უცხოელ მკვლევრებს არ ჰქონდათ საშუალება ეპიგრაფიკული ძეგლები ეკვლიათ საქართველოს ტერიტორიაზე, 1952-1953 წლებში იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ პალესტინაში, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, აღმოაჩინა ქართული მონასტრის ნანგრევები, სადაც მიაკვლიეს სამ ქართულ წარწერას<sup>1</sup>. (დანელია და სარჯველაძე 1997)

1958 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნ-

---

1 “La Terra Santa” Virgilio Corbo, მიხეილ თარხნიშვილი N28, Ierusalem, გვ. 181-186, 1953

„ბედი ქართლისა“ (N16) M. Tarchnishvili, 1954

„ახლად აღმოჩენილი ქართული მონასტერი ბეთლემში“ Le iscrizioni di Bir el-Qutt

Gliscavi di kh. Siyar el Ghanam (Campo dei Pastopi e I monasteri dei dintorni) გათხრები ხირბეთ სიიარ ალ-ღანამში („მწყემსთა ველი“) და უახლოეს მონასტრები, Virgilio Corbo, Ierusalem, 1955 აქ, გვ. 135-140 მიხეილ თარხნიშვილი ბეთლემის წმინდა თეოდორეს სახელობის ქართულ მონასტერზე. მიხეილ თარხნიშვილმა წარწერები ლათინურად თარგმნა.

გ. წერეთელი უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან

იერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები წარმართავდნენ მუშაობას ქართველოლოგიის ყველა დარგში, მათ შორის ეპიგრაფიკაშიც.


აღსანიშნავია, რომ ეს მრავალრიცხოვანი გამოცემები, მიუხედავად იმისა, რომ მათ გამოცემას თითზე ჩამოსათვლელი ინსტიტუციები განკარგავდნენ, მაინც არ იყო გამოცემის სტანდარტის მიხედვით ჰომოგენური. სტანდარტი და აღნიშვნები იცვლებოდა დროთა განმავლობაშიც, მაგალითისათვის, შვედაროთ ორმოციანი წლებისა და ოთხმოცდაათიანი წლების ეპიგრაფიკული გამოცემები:

ვალერი სილოგავას შესრულებულ გამოცემებს თან ახლავს პირობით ნიშანთა ჩამონათვალიც.

ნაშრომს „კუმურდო – ტაძრის ეპიგრაფიკა“, (სილოგავა, კუმურდო – ტაძრის ეპიგრაფიკა 1994) დართული აქვს პირობითი აღნიშვნების სია. როდესაც ვ. სილოგავას გამოცემებს ვეცნობით, ცხადი ხდება, რომ მასაც აღეღვებდა გამოცემის სტანდარტის, პირობითი აღნიშვნების, მათი სტანდარტიზაციის პრობლემა.

ნაშრომი „კორიდეთის საბუთები (X-XIII სს)“ (სილოგავა, კორიდეთის საბუთები 1989) წარმოაჩენს, თუ რას ფიქრობდა სილოგავა გამოცემის არსებული სტანდარტის შესახებ. აჭარაში, სოფელ კორიდეთში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) ღვთისმშობლის ეკლესიაში IX- XIV საუკუნეებში დაცული იყო ბერძნული ოთხთავის ხელნაწერი ეტრატზე; XIV ს-დან ხელნაწერები კალის თემის წმ. კვირიკეს ეკლესიაში (ლაგურკა)

დასტურდება; ხელნაწერები ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. ხელნაწერისაგან თავისუფალ ადგილებში დატანილია მინაწერები, იურიდიული აქტები – მინაწერი ისტორიული საბუთები. კორიდეთის საბუთების ერთ-ერთი პუბლ-



ილუსტრაცია 1. : არნოლდ ჩიქობავა: ქართულ-ხუნძური წარწერა, XIV საუკუნე, დაღესტანი, (ჩიქობავა 1940)

იკაცია ეკუთვნოდა ნიკო მარს, კერძოდ საუბარია 1911 წელს რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში განხორციელებული პუბლიკაციაზე. აი, რას ამბობს ვ. სილოგავა ამ ნაშრომის შესახებ: „იგი სანიმუშოა და გამორჩეული არა მარტო ამ მინაწერების სხვა გამოცემებთან შედარებით, არამედ საერთოდ ხელნაწერებზე მოთავსებული მინაწერების გამოცემის მეთოდების, პრინციპებისა და ხერხების თვალსაზრისით. ფილოლოგიური ხასიათის მაღალმეცნიერულ

პირობითი ნიშნები

- ( ) — ქარაგმის გახსნა.
- [ ] — აღდგენილი ადგილები.
- { } — აზრის გასამართავად დამატებული სიტყვები.
- [...] — ნაკლები ტექსტი, რომლის სიდიდე გაურკვეველია.
- [±8] — დაზიანებული ტექსტი, რომლის აღდგენა არ მოხერხდა; ციფრი აღნიშნავს ასოთა დაახლოებით რაოდენობას.
- [?] — წაკითხვა საეჭვოა.
- (?) — წაკითხვა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ სიტყვა გაუგებარია.
- | — სტრიქონის დასასრული.
- || — გვერდის დასასრული.

ილუსტრაცია 2. : ვალერი სილოგავა „კუმურდო – ტაძრის ეპიგრაფიკა“ (სილოგავა, კუმურდო – ტაძრის ეპიგრაფიკა 1994)

გამოკვლევასთან ერთად, განუზომლად ზრდის ამ გამოცემის მნიშვნელობას ის, რომ მას ახლავს მინაწერების ფოტოასლები, შესრულებული მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, რაც მათი შესწავლის საშუალებას იძლევა დედნის, თვით ხელნაწერის, მოხმობის გარეშეც...“ შემდეგ ვ. სილოგავა გამოცემის ახალ პრინციპებს ეხება: „ისინი [ხელნაწერი საბუთები] მომზადდა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ გამოცემის ამჟამად მიღებული პრინციპების შესაბამისად. ამ პრინციპების მიხედვით მინაწერების ტექსტების გამართვამ გამოიწვია მათი ერთობ გადატვირთვა ტექნიკური ნიშნებით და ამის გამო, ეს ტექსტები ძნელად აღსაქმელი შეიქნა. ამიტომ, გამოცემის I დამატებაში წარმოვადგინეთ საბუთების ტექსტები ტექნიკური ნიშნების გარეშეც და ამის შედეგად, ამ მეტად საინტერესო მასალის გაცნობა შეუძლია არა მარტო სპეციალისტებს,

არამედ საერთოდ ნებისმიერ მკითხველს.“ – თანამედროვე სტანდარტების მიხედვით შესრულებულ ციფრულ სამეცნიერო გამოცემაში ეს პრობლემა გადაიჭრება მარტივად, ერთი კოდირებული ტექსტის საფუძველზე, კრიტიკული და დიპლომატიური ტექსტის გვერდიგვერდ ჩვენებით.

## შეჯამება

ამგვარად, ცხადი ხდება, მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლები გამოიკვმოდა ისევე, როგორც ევროპაში. მკვლევრები აწყდებოდნენ სპეციფიკურად ქართულთან დაკავშირებულ ტექნიკურ პრობლემებს და ცდილობდნენ მათ გადაჭრას. ის მიდგომები, რომელიც განსაზღვრავდა ქართული ეპიგრაფიკული მასალის გამოცემის ფორმას მის პირველ ეტაპზე, სრულად იყო გაზიარებული ქართველი მკვლევრების მიერ მეოცე საუკუნის ბოლომდე.





# ნაწილი II

## ციფრული რევოლუცია და ჰუმანიტარული მეცნიერებები

კაცობრიობის მთელი არსებობის მანძილზე სიტყვიერებასთან და დამწერლობასთან დაკავშირებული გამოგონება თუ ტექნიკური სიახლე ყოველთვის იწვევდა ძირეულ და მასშტაბურ ცვლილებებს. ამ ცვლილებებს ყოველთვის ხვდებოდა კონსერვატორული წინააღმდეგობა და სიახლეებიც სხვადასხვა სისწრაფით მკვიდრდებოდა. პლატონის ერთ-ერთ დიალოგში, „ფედროსი“, სოკრატე ფედროსთან საუბრისას იხსენებს ძველ ეგვიპტურ ამბავს, როდესაც ღმერთი თოტი თავის გამოგონებას, ანბანს, ფარაონ თამუზს წარუდგენს, რომელიც იწუნებს სიახლეს და ამბობს, რომ დამწერლობა მოკლავს ადამიანების მახსოვრობის უნარს:

[257a] σὺ, πατήρ ὦν γραμμάτων, δι' εὔνοϊαν τοῦναντίον εἶπες ἢ δύνатаι. τοῦτο γὰρ τῶν μαθόντων λήθην μὲν ἐν ψυχαῖς παρέξει μνήμη ἀμελετησίᾳ, ἅτε διὰ πίστιν γραφῆς ἕξωθεν ὑπ' ἄλλοτρῶν τύπων, οὐκ ἔνδοθεν αὐτοὺς ὑφ' αὐτῶν ἀναμιμνησκομένους: οὐκ οὖν μνήμη ἀλλὰ ὑπομνήσεως φάρμακον ἡμῖρες. (Plato, Phaedrus n.d.)

[257a] and now you, who are the father of letters, have been led by your affection to ascribe to them a power the opposite of that which they really possess. For this invention will produce forgetfulness in the minds of those who learn to use it, because they will not practice their memory. Their trust in writing, produced by external characters which are no part of themselves, will discourage the use of their own memory within them. (Plato, Plato in Twelve Volumes 1925)

ამ ციტატით იწყებს ესეს „გუტენბერგიდან ინტერნეტამდე“ უმბერტო ეკო, სადაც ავტორი ნათელი მაგალითებით აჩვენებს, რომ წიგნის ელექტრონული მომავლისადმი შიში გაუმართლებელი კონსერვატიზმია. „[კომპიუტერის] დისპლეი უნივერსალური წიგნია, რომელშიც სამყარო სიტყვებითაა წარმოდგენილი და გვერდებადაა დაყოფილი“. (ეკო 2008)

თუკი ხელნაწერი წიგნის გავრცელება აბრაამიანულ რელიგიებთან ერთად მოხდა, ბეჭდური რევოლუციის საფუძველი რეფორმაციამ მოამზადა პროტესტანტული იდეის (რომ ადამიანს არ სჭირდება შუამავალი ღმერთთან) გამოხატულებად იყო მიჩნეული დანიელ დეფოს „რობიზონ კრუზო“, ასეთი იყო იდეალური პროტესტანტი, ადამიანი, რომელმაც დატოვა ცოდვილი სამყარო, რათა ყველაფერი ხელახლა დაიწყოს, თან კი ერთადერთი წიგნი, ბიბლია აქვს. თითოეულ პროტესტანტს თითო ბიბლია სჭირდებოდა, ამას დავუმატოთ ტექნიკური პროგრესი და პირველი საბეჭდი პრესის გამოგონება და მასობრივი ბეჭდვის პროცესის დაწყება გარდაუვალი გახდა. ცნობილია, რომ თავად ლუთერის 95 თეზისის გავრცელებაში შეუცვლელი როლი ბეჭდვამ შეიტანა, მათი გამოქვეყნებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ თეზისების უკვე 300000 ბეჭდური ასლი არსებობდა გერმანიასა და მთელ ევროპაში. (Duchesne 2006)), რა გახდა ამგვარივე

მაპროვოცირებელი ფაქტორი ციფრული რევოლუციისათვის? ცხადია, მეორე მსოფლიო და შემდგომში ცივი ომი. მეორე მსოფლიო ომში გერმანიამ და ინგლისმა ერთმანეთის დაშიფრულ ინფორმაციაზე ნადირობისას აქამდე არაარსებული ცოდნა და გამოცდილება დააგროვეს, ცივმა ომმა კი ამერიკელი სამხედროები აიძულა ახალი ერთიანი ქსელის, ინტერნეტის შექმნაზე ეზრუნათ. ვების საჯარო მოხმარებაში შემოსვლის თარიღი კი ზუსტად ემთხვევა ცივი ომის დასასრულს - 1991 წელს.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ ვების შექმნამ მნიშვნელოვნად გაადვილა კომუნიკაცია, პირველ რიგში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და მკვლევრებს შორის (ვების კონცეფციაც ხომ ცერნში, ატომური კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში შეიქმნა), რაღაც ხანს, ამ სიახლემ ანალიტიკური კომპიუტერული ტექნოლოგიების ჩიხიდან მკვლევრების ყურადღება ინფორმაციის ვირტუალურ თაროებზე განთავსებისკენ მიმართა და ამდენად, კომპიუტერული ანალიზის რიგი პრობლემები „დაასამარა“.

(McCarty 2013)

ცხადია, სადავოა, რომელია პირველი ციფრული წიგნი ან კონკრეტულად საიდან უნდა ავითვალოთ ელექტრონული წიგნის ისტორია, თუმცა, ციფრული სამეცნიერო გამოცემის ისტორიის ღირსეულ დასაწყისად სამართლიანად მიიჩნევენ თომა აქვინელის ელექტრონული კორპუსის - Index Thomisticus, (<http://www.corpusthomisticum.org>) შექმნას. გასაოცარია, მაგრამ ამ პროექტზე მუშაობა 1946 წელს იწყება, მაშინ, როცა არ არ-

---

1 ბერლინის კედელი 1989 წლის 9 ნოემბერს დაინგრა; საბჭოთა კავშირი 1991 წლის 8 დეკემბერს ბელოვეჟის შეთანხმებაზე მხარეთა ხელმოწერის შემდეგ ოფიციალურად დაიშალა; სერ ტიმ ბერნერს ლიმ „მსოფლიო აბლაბუდის“ (World Wide Web) კონცეფცია 1989 წლის მარტში გამოაქვეყნა; საჯარო მოხმარებაში ვები 1991 წლის 7 აგვისტოს შემოვიდა.

Search:

[concordances](#) [terms](#) [works](#) [options](#) [new search](#)

#### Instructions:

You may type in any number of terms. By default, it is assumed that you want to search for all of the given terms within each of the textual units contained in the whole Index Thomisticus database, and that the given terms may appear in any order whatsoever with the only restriction that they be contiguous. However, you may override these settings by pressing the **options** button and modifying the defaults, or by using the advanced expression syntax given below. Having typed in the desired terms or expression, you can always press any of the following buttons:

#### Parentheses:

You may enclose expressions in parentheses () to combine the various syntax options given above.

#### For example:

**dicitur \*3** Will search for all the occurrences of the word *dicitur* and either the word *simpliciter* or the literal expression *secundum quid*, with up to three words between them. This would include cases such as (**simpliciter"secundum** ["..."] *dicitur secundum quid* [...], ["..."] *dicitur minoratus secundum quid* [...], ["..."] *dicitur simpliciter* [...], ["..."] *dicitur non nisi secundum quid* [...], ["..."] *dicitur infinita secundum quid* [...], ["..."] *quid*)  
*simpliciter libertas dicitur* [...], ["..."] *dicitur corruptio secundum quid* [...], ["..."] *dicitur bonus vel malus simpliciter* [...], ["..."] *simpliciter esse dicitur* [...], etc.



IN COLLABORATION WITH

Fundación Tomás de Aquino



Universidad  
de Navarra

© 2005 Enrique Berrón and Eduardo Berrón as to the edition  
© 2002 Societas CAED as to the Index Thomisticus  
All rights reserved  
I.T.S.I.Q.M.

სებობს ინტერნეტის ქსელი, კომპიუტერი კი დღევანდელთან შეუდარებლად განუვითარებელია. პროექტის ავტორია იტალიელი იეზუიტი მღვდელი, რობერტო ბუსა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა პირველი დოქტორი, ვინც კომპიუტერის ლინგვისტური და ლიტერატურული ანალიზისათვის გამოყენება დაიწყო. მან საფუძველი დაუდო ციფრულ ჰუმანიტარიას. ციფრული ჰუმანიტარია (ინგლ. Digital humanities) დღეს წარმოადგენს კვლევის, სწავლებისა და შემოქმედების სფეროს, სადაც ჰუმანიტარული სამეცნიერო დისციპლინები კვეთს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. დღეს ციფრული ჰუმანიტარია აე-

რთიანებს როგორც გადაციფრებულ (ნაბეჭდის ციფრულ ვარიანტ) ისე ციფრულად შექმნილ დოკუმენტებს და იკვლევს მათ ტრადიციული ჰუმანიტარული დარგების მეთოდოლოგიითა და კომპიუტერული ხელსაწყოების (ინფორმაციის ვიზუალიზაცია, კომპიუტერული ანალიზი, ციფრული გამომცემლობა) საშუალებით. ციფრული ჰუმანიტარიის პირობებში მთავარი კვლევის მეთოდის სიზუსტე და მკვლევარის ანალიზის უნარია - მონაცემთა სრულყოფილი, სტრუქტურირებული ბაზა არსებობს და მისი დამახსოვრება არ არის საჭირო, (სხვა საქმეა, რომ ძნელად თუ ვინმე მოახერხებს, მაგალითად, განმანათლებლობის პერიოდზე მუშაობისას ნაიკითხოს და დაიხსომოს იმ ათი ათასობით წერილის შინაარსი, რომელსაც ვოლტერი, ლოკი და ნიუტონი სწერდნენ ერთმანეთს. „მხოლოდ ვოლტერის ავტორობით ასეთი 18 000 წერილი არსებობს“ - ამბობს დენ ედელშტაინი, სტენფორდის უნივერსიტეტის (ინფორმაციის ვიზუალიზაციის სამეცნიერო მიზნებისათვის გამოყენებისა და კვლევის პიონერი) პროფესორი, რომელიც განმანათლებლობის ეპოქის იდეების გავრცელების ვიზუალიზაციაზე მუშაობს. (Cohen, 2010) ამდენად, ციფრული ჰუმანიტარიის წარმომადგენლები მიიჩნევენ რომ თუკი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეოცე საუკუნის ისტორიის ქრონოლოგიზაცია „იზმებით“ მიმდინარეობებით არის შესაძლებელი, დღეს, ჰუმანიტარულმა მეცნიერებებმა აღარ უნდა ეძებონ შთაგონება ახალ ფილოსოფიურ თუ პოლიტიკურ „იზმში“, არამედ გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები და იკვლიონ წყაროები, დოკუმენტები, მათი ციფრული ვარიანტები - რაზეც ადრე ხელი არ მიუწვდებოდათ. სწორედ ასეთი მასშტაბური ცვლილებების სათავეებთან დგას რობერტო ბუსა.

სავარაუდოდ, აქვინისტიკის კორპუსის შექმნის იდეა რობერტო



რობერტო ბუსა კორპუსზე მუშაობისას

ბუსას თავის სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას დაებადა. ნაშრომი ეხებოდა ში თანდებულის (ლათ. In) გამოყენებას და მნიშვნელობას თომა აქვინელის შრომებში. თომა აქვინელის ყველა ნაშრომის 1.5 მლნ. სტრიქონის (9 მლნ. შუასაუკუნეების ლათინური სიტყვის) ლინგვისტური ანალიზისათვის მეცნიერს ალგორითმის შექმნა დასჭირდა.



რობერტო ბუსამ შეძლო დაერწმუნებინა IBM-ის დამაარსებელი თომას უოტსონი დაეფინანსებინა თომა აქვინელის ელექტრონული კორპუსის შექმნა. პროექტმა 30 წელს გასტანა 1970 წლისათვის მზად იყო აქვინისტიკის 56 ტომი. 1989 წელს გამოვიდა წიგნის ელექტრონული დისკი, საბოლოოდ კი 2005 წელს ინტერნეტ ვერსია შეიქმნა. ამ დროისათვის მორფოლოგიურად მარკირებული და ლემატიზებული იყო თომა აქვინელის კორპუსის (118 ტექსტი აქვინელისა და 61 მასზე) ყველა, 11 მილიონამდე სიტყვა. ლემატიზაცია (ლათ. Lemma სიტყვის კანონიკური, სალექსიკონო ფორმა) ამ პირველი ელექტრონული კორპუსის შემთხვევაში გულისხმობდა თითოეული სიტყვაფორმისათვის ამოსავალი ფორმის მითითების არაავტომატიზებულ პროცესს<sup>2</sup>.

---

2 სხვადასხვა ენაში, ლემას სიტყვის სხვადასხვა ფორმა წარმოადგენს, მაგალითად, გერმანული და ფრანგული ზმნის ლემა ყოველთვის ინფინიტივის ფორმითაა მოცემული, მაშინ როდესაც, ლათინურისა და ბერძნულის ზმნა, ჩვეულებრივ პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი ლექსიკონებში. არაბულსა და ებრაულში ზმნის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის მასკულინური ფორმაა სალექსიკონო, ქართული იმავე ფუნქციით სახელზმნას იყენებს, კორეული კი ზმნის ძირს და სუფიქსს დაურთავს.

# ლაიდენის კონვენცია და მისი ციფრული ანალოგი

1930-იანი წლების პირველი ნახევრიდან იქმნება ლაიდენის კონვენცია, რომელშიც გათვალისწინებულია ეპიგრაფიკული ძეგლის გამოცემის მანამდე არსებული წესები (Van Groningen 1932) (თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ეპიგრაფიკა 2002). ლაიდენის კონვენცია სხვადასხვა ტიპის ფრჩხილის, წერტილებისა და სხვა პირობითი აღნიშვნების საშუალებით იძლეოდა სემანტიკური კოდირების საშუალებას. (Roued-Cunliffe 2010) კონვენციის გავრცელებას ობიექტური ფაქტორები უშლიდა ხელს და მიუხედავად იმისა, რომ 1931 წელს უკვე არსებობდა კონვენციის პირველად ვერსია, მისი გამოყენება მაშინვე არ დაუწყიათ.

ლაიდენის კონვენციის მთავარ ნაკლად მიიჩნევენ, რომ ამ სტანდარტით გამოცემისას წარწერის ტექსტი მეორეული მნიშვნელობისაა, შედეგად, იკვეთებოდა ეპიგრაფიკის, როგორც არქეოლოგიური და ისტორიული დისციპლინის როლი და ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა წარწერის ენობრივი შესწავ-

ლას. (Cayless, et al. 2009) ქართული ლაპიდარული წარწერების პირველი ტომის შესავალში აღნიშნულია: „...ამ გამოცემებმა, მიუხედავად რიგი მეცნიერული და ტექნიკური ხასიათის ნაკლოვანებებისა, რომლებიც მათ ახლდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის ცალკეული საკითხების კვლევაში, **ქართული საისტორიო წყაროთმცოდნეობითი ბაზის განმტკიცებაში.**“ (შოშიაშვილი 1980) ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს ბერძნული წარწერების თინათინ ყაუხჩიშვილის გამოცემა, სადაც წარწერების ენას, მორფოლოგიას, ფონეტიკასა და სინტაქსზე ჯეროვანი ყურადღებაა მიქცეული (თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი 2009). ეპიგრაფიკული ძეგლების ქართული გამოცემები ცხადია არ ითვალისწინებს ლაიდენის კონვენციას, მხოლოდ თ. ყაუხჩიშვილის ავტორობით 2002 წელს გამოქვეყნებულ ბერძნული ეპიგრაფიკის სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილში არის მიმოხილული ლაიდენის კონვენციის შექმნის გარემოებები. (თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ეპიგრაფიკა 2002)

წარწერების ტექსტი უჩვეულოა, მათი კატეგორიზაცია რთულია: როგორც წესი, ეს არც პოეზიაა, არც ისტორია, არც ფილოსოფია, არც ხელნაწერ ტექსტთან შეგვიძლია ანალოგის გავლება, წარწერის ტექსტი წარმოადგენს მოკლე დოკუმენტურ არამხატვრულ ტექსტს. ობიექტები, რომლებზეც წარწერებია ნაკვეთი, ამოკანრული, მიწერილი ან ამოქარგული უპირატესად ხელოვნების ისტორიკოსებისა და არქეოლოგების შესწავლის საგანია, მათთვის ტექსტი მეორეული მნიშვნელობისაა.

მეოცე საუკუნის დიდი ეპიგრაფიკული ექსპედიციებიდან მოყოლებული (ჟან-ფრანსუა შამპოლიონის, კარლ რიხარდ ლე-

αβγ	ტექსტი დაუზიანებელია, ადვილად იკითხება, ინტერპრეტირებას არ საჭიროებს
ΑΒΓ	ტექსტი დაუზიანებელია და ადვილად იკითხება, თუმცა ინტერპრეტირებულია რედაქტორის მიერ
α(βγ)	ქარაგმის გახსნა
[αβγ]	ტექსტი დაკარგულია დაზიანების შედეგად და აღდგენილია რედაქტორის მიერ
[.. c. 4 ..]	ასოთა მიახლოებითი რაოდენობა, რომელიც დაკარგულია დაზიანების შედეგად ან მისი აღდგენა არ ხერხდება
[.. ? ..]	დაზიანების შედეგად დაკარგული ასოები, რომელთა რაოდენობა უცნობია
< αβγ >	ასოები, რომელიც შეცდომით აქვს გამოტოვებული ამომკვეთელს
`αβγ`	ტექსტი, რომელიც ჩამატებულია ძველად, (ამომკვეთელის მიერ ან მალევე)
⌈αβγ⌋	ტექსტი, რომელიც შესწორებულია რედაქტორის მიერ
{αβγ}	ზედმეტი ასოები, რომელიც ამოკლებულია რედაქტორის მიერ

ცხრილი 1. ლაიდენის კონვენციის პირობითი აღნიშვნები

ჰსიუსისა<sup>1</sup> და იპოლიტო როსელინის ეგვიპტოლოგიური ნაშრომები) საკვლევი მასალის დოკუმენტირების პროცედურები იცვლებოდა და ვითარდებოდა ათწლეულების განმავლობაში. ცალკე აღებული ერთი რომელიმე წესით წარმოებული დოკუმენტაცია ორიგინალურ მონუმენტს მაინც ვერ ასახავს სრულად. ფოტო ძეგლის ყველაზე ზუსტ რეპროდუქციას წარმოადგ-

1 C. R. Lepsius, Denkmäler aus Aegypten und Aethiopien

ენს, თუმცა ცუდმა განათებამ და წარწერის სხვადასხვა სახის დაზიანებებმა შესაძლოა მას ეს სიზუსტე დაუკარგოს და მეტიც, არასწორი წაკითხვის მიზეზი გახდეს. წარწერის ფაქსიმილური ნახაზი სტანდარტული დოკუმენტაციის განუყოფელი ნაწილია, თუმცა ისიც შესაძლოა გახდეს მიკერძოებული დასკვნების მიზეზი.

ისევე როგორც ციფრული ჰუმანიტარიის სხვა დარგების შემთხვევაში, ციფრული ეპიგრაფიკის, ეპიგრაფიკული მასალის ციფრული გამოცემის მეთოდებიც თითოეული საგამომცემლო პროექტთან ერთად იხვეწება და ვითარდება. ერთ-ერთი ასეთი პროექტი იყო გიზის ციფრული ბიბლიოთეკა (Giza Digital Library: The Giza Mastabas Series), რომლის ფარგლებშიც ეპიგრაფიკული კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილის კომპიუტერიზება მოხერხდა. ციფრული ჰუმანიტარიის განვითარების ამ ადრეულ ეტაპზე, ჯერ კიდევ არ იყო ფორმირებული ხედვა, რომ ახალი ტექნოლოგიები არა მხოლოდ ნაბეჭდის ციფრული ანალოგის შექმნისა და შენახვის შესაძლებლობას, არამედ კვლევის ახალი ხელსაწყოების შემუშავების საშუალებასაც გვაძლევს, შესაბამისად, ავტორები აღნიშნავდნენ, რომ „მანქანა ბევრად ჩამოუვარდება ადამიანს ეგვიპტოლოგიურ და ეპიგრაფიკულ კვლევასა და შემოქმედებითობაში, იგი 'ეპიგრაფიკული პროცესის' კიდევ ერთი ხელსაწყოა. ეპიგრაფიკული პრაქტიკის არც ერთი ასპექტი (წარწერების შესწავლა კონტექსტში, ეპიგრაფიკული ექსპერტბა, ფრაგმენტებისა და ლაკუნების რეკონსტრუქცია) ჯერ-ჯერობით ავტომატიზირებული და კომპიუტერით ჩანაცვლებული არ არის“<sup>2</sup>.

---

2 Digital Epigraphy: An Approach to Streamlining Egyptological Epigraphic Method Peter Der Manuelian, Journal of the American Research Center in Egypt Journal of the American Research Center in Egypt Vol. 35 (1998), pp. 97-113

# ეპიდრაფიკული მასალის აბრეგაციის კონცეპტუალური მოდელი

მას შემდეგ, რაც 1932 წელს ლაიდენის კონვენცია განისაზღვრა (Van Groningen 1932), პროექტი EpiDoc წარმოადგენს ყველაზე მკვეთრ სიახლეს ეპიდრაფიკის სფეროში და ციფრული ეპიდრაფიკის დე ფაქტო სტანდარტად ითვლება. EpiDoc-ი წარწერის ციფრული ჰოლისტიკური აღწერისა და მისი ტექსტის სემანტიკური კოდირების (mark-up) საშუალებას იძლევა, თანაც ეს ყოველივე მოქნილ, მანქანურად წაკითხვად ფორმატში, რომელიც ციფრულ ეპიდრაფიკოსთა საზოგადოების მოთხოვნების სხვადასხვა ასპექტს აკმაყოფილებს. თითოეული EpiDoc ფაილი მონოლითური, თვით-დესკრიპტიული, დამოუკიდებელი ინფორმაციის ერთეულია. ანალოგად გამოდგება ციფრული არქივის ერთი ფოლდერი, რომლის გამოყენება ან მის შიგნით ფაილის მოძებნა ძალიან ადვილია, თუმცა რთულია ფოლდერის შიგნით ფაილების დაკავშირება, ფოლდერის ფაილების სხვა ფოლდერის ფაილებთან, ან საერთოდაც სხ-

ვა არქივის ფაილებთან დაკავშირება. ამდენად, „გარე“ მონაცემებთან კავშირის დამყარება მთლიანად მკვლევრის ინტუიციასა და დამოკიდებულს. EpiDoc-ი გამოცხადებულია პირველ ნაბიჯად ნამდვილად ციფრულად აღჭურვილი ეპიგრაფიკული კვლევისაკენ, როცა შესაძლებელი გახდება არა მხოლოდ უფრო ეფექტურად გაცეს პასუხი კვლევით შეკითხვებს, არამედ აღმოჩენილ იქნას ახლი შეკითხვები. EpiDoc-ის მწყობრი სტრუქტურის იერარქიული ბუნება განსაკუთრებით ცხადი ხდება, როდესაც საქმე ეხება სხვადასხვა წყაროდან შეგროვებულ ჰეტეროგენულ მასალას, როგორც ეს მოხდა პროექტ EAGLE-ის შემთხვევაში. EAGLE ევროკომისიის მიერ მისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტია. EAGLE-ის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ყველაზე გამორჩეულ ევროპულ ინსტიტუტებსა და არქივებს კლასიკური ლათინური და ბერძნული ეპიგრაფიკის კვლევაში, წარწერები გროვდება ევროკავშირის ოცდახუთი ქვეყნიდან, 1.5 მილიონზე მეტი სურათი და მასთან დაკავშირებული მეტამონაცემი, მათ შორის შერჩეული ტექსტების თარგმანები ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ხდება. შეგროვებული მასალა ორ მიზნისათვის გამოიყენება: ერთი მხრივ, იგი ჩართულია Europeana-ს ბაზაში, აქ წარმოდგენილი უნიკალური ისტორიული წყაროების სრულყოფილი კრებული ევროპული კულტურის ნამდვილ საგანძურს წარმოადგენს (დაგროვილი მასალა ხმელთაშუაზღვისპირეთის წარწერების საერთო რაოდენობის დაახლოებით 80%-ს შეადგენს). მეორე მხრივ, EAGLE-ის პორტალზე შესაძლებელია დაგროვილი მასალის მოძიება და კვლევა, მასალა ხელმისაწვდომია ეპიგრაფიკოსთა და ფართო საზოგადოებისათვის. პროექტის ფარგლებში ფართე აუდიტორიისათვის შეიქმნა მობილური აპლიკაცია, საშუალებას აძლევს ტურისტებს გადაულ-

ონ ფოტო წარწერას არქეოლოგიურ ძეგლზე ან მუზეუმში, წარწერის ფოტო გააგზავნონ EAGLE-ის პორტალზე და მიიღონ ინფორმაცია ძეგლის შესახებ. მეორე აპლიკაცია სასწავლოა, თხრობის (storytelling application) ასაგებად გამოიყენება და საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ეპიგრაფიკაზე დაფუძნებული სასწავლო ტექსტები შექმნას ნაკლებად გამოცდილი ინტერნეტმომხმარებლისათვის. დღევანდელმა საძიებო სისტემებმა მომხმარებლები მიაჩვია კონკრეტულ შეკითხვაზე ჰეტეროგენული მასალის (ვებ გვერდი, სურათი, ფაილი, ვიდეო და სხვა) მიღებასა და ძიების მაქსიმალურად გაღრმავებას (მაგალითად, გამოსახულების მიხედვით ძიება). ამგვარი ფუნქციების ციფრულ ეპიგრაფიკულ „სამყაროზე“ გავრცობა და აქამდე განცალკევებული ცნებებისა და ინფორმაციული ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობა სარგებელს მოუტანს როგორც სამეცნიერო კვლევას, ისე ფართო საზოგადოებას, რომლისთვისაც დღეს არსებულ EpiDoc არქივებთან წვდომა არ არის მარტივი.

გასული საუკუნის დასაწყისში დიდი (ნაბეჭდი) ეპიგრაფიკული კორპუსების შექმნამ ეპიგრაფიკული საზოგადოებისათვის ცხადი გახადა, რომ აუცილებელი იყო თანმიმდევრული, შეთანხმებული სტანდარტის დანერგვა და მისი ზედმინევენით მისი დაცვა. წარწერის ტექსტი (გრაფემები), როგორ გამოიყურებოდა წარწერა ორიგინალურ მატარებელზე (აბრევიაციები, ნაშლილი, დაკარგული ან ვერ ამოკითხული ასოები) და რედაქტორის ინტერპრეტაციები - შესაბამისად უნდა გაფორმებულიყო ნაბეჭდ ტექსტში. 1931-1932 წლებში შემოთავაზებულმა ლაიდენის კონვენციამ განსაზღვრა როგორ უნდა დაბეჭდილიყო წარწერის ტექსტთან ერთად მისი თავისებურებები და მალე იქცა წარწერების ტრანსკრიფციის წარმოდგენის დე ფაქტო




სტანდარტად. კომპიუტერის გაჩენამ და ციფრული (გაციფრებული) მასალის გამოყენებამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში თითქმის მთლიანად გარდაიქმნა დიდი მოცულობის ნაბეჭდი მასალა (სტატიები, წიგნები, კორპუსები), ტექსტურ მონაცემთა ბაზებად, რამაც, თავის მხრივ, ინფორმაციის ძებნისა და „გამოტანის“ თანამედროვე ხელსაწყოების აუცილებლობა გააჩინა. ამ თვალსაზრისით ლაიდენის კონვენციის მიხედვით გამოცემული ტექსტების გაციფრებისას მძიმე შეზღუდვებს წაანყდნენ, რადგან ლაიდენის კონვენცია გრაფიკულად აღწერდა წარწერის მახასიათებლებს (მაგალითად ხაზგასმა ტექსტში მიუთითებს ტექსტის ადრე ცნობილ, მაგრამ დღეისთვის დაკარგულ ნაწილზე, ქვეშ დასმული წერტილი მიუთითებს საეჭვო ინტერპრეტაციაზე და სხვა), როდესაც ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში ინახება „გრაფიკული მახასიათებლები“ ქრება და საჭირო ხდება მათი ტეგებით ჩანაცვლება. თანამედროვე საძიებო სისტემები, ე.წ. string matching პრინციპს ემყარება და ამიტომ ყველა ეს „უცხო“ ელემენტი წარწერის ტექსტში ართულებს და მოუხერხებელს ხდის სასურველი ინფორმაციის მოძიებას. XML (განვრცობადი მარკირების ენა) იქცა კომპიუტერებს შორის ინფორმაციის გაცვლის დე-ფაქტო სტანდარტად, მას აქვს უპირატესობა ფორმალური სტრუქტურის გამო, დამუშავებადია კომპიუტერული პროგრამით და, ამავე დროს, ადამიანსაც ადვილად შეუძლია მისი გაგება.

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, რომში გამართული მრგვალი მაგიდის შემდეგ, პროფესორ სილვიო პანჩერას მანიფესტმა, რომლითაც იგი რეკომენდაციას უწევდა „გვიან ანტიკურ პერიოდამდე შექმნილი ყველა გადარჩენილი ბერძნული და ლათინური ეპიგრაფიკული ძეგლის თავისუფალი და შეუზღუდავი ონლაინ მონაცემთა ბაზის შექმნას“ გამოიწ-

ვია წინადადების გამოქვეყნება (EpiDoc-ზე მუშაობა უკვე მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში), რომ ეპიგრაფიკული ტექსტების კოდირება TEI-ის სტანდარტის მიხედვით მომხდარიყო. „ტექსტის კოდირების ინიციატივა“ იყო სტანდარტი, რომელიც ამ დროისათვის უკვე ფართოდ გამოიყენებოდა ციფრული ჰუმანიტარიის სფეროში, ხელნაწერებისა და ძველი დოკუმენტების XML ანოტირებისათვის (Bodard 2008). EpiDoc შედგება რეკომენდაციებისა და ინსტრუმენტებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ წარწერების სამეცნიერო და საგანმანათლებლო გამოცემების კოდირების წესებს TEI-ის წესების საფუძველზე. გარდა თავად ტექსტისა, სრული EpiDoc დოკუმენტი შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას წარწერის ისტორიის შესახებ, ტექსტის აღწერას და მისი კომენტარებს, აღმოჩენის ადგილსა და ახლანდელ შენახვის ადგილს, ბმულების ფოტოებზე, თარგმანს და ა.შ. როგორც წესი, ეპიგრაფიკული მონაცემთა ბაზები მათი საჭიროებებისა და მიზნებიდან გამომდინარე სხვადასხვა ინფორმაციულ მოდელებს იყენებენ. EAGLE-ის პროექტმა ურთიერთთავსებადობის მისაღწევად და მონაცემთა გაცვლის გასაადვილებლად მიზნად დაისახა ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება. CIDOC-CRM-ზე დაყრდნობით შეიქმნა ეპიგრაფიკული ერთეულების კონცეპტუალური მოდელი, რომელმაც უნდა გააადვილოს საერთო ცნებების და მათი ურთიერთობების დეტალური აღწერა. CIDOC კონცეპტუალური რეფერირების მოდელი (CRM) გვთავაზობს აღწერის ფორმალურ ონტოლოგიურ მოდელს ობიექტის სიცოცხლის ციკლის წარმოსადგენად (კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სტრუქტურების, მათ შორის ურთიერთობის, ამ სტრუქტურათა შემადგენელი ხდომილებების (event models) ურთიერთმიმართების წარმოჩენა არის კონცეპტუალური მოდელის ამოცანა). რადგანაც EpiDoc ფაილი რამდენიმე მონათესავე (მაგრამ ონ-

ტოლოგიური თვალსაზრისით განსხვავებულ) ერთეულს აერთიანებს, საჭირო გახდა EpiDoc-ის დესკრიპტიული ერთეულების CIDOC-CRM ონტოლოგიის მიხედვით გაანალიზება, შემდეგ კი ამ ანალიზის საფუძველზე შეიქმნა მარტივი კონცეპტუალური მოდელი, რომელიც რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ერთეულის ადგილს განსაზღვრავს.

მარტივად რომ ვთქვათ, ეპიგრაფიკული მასალის აგრეგაციის კონცეპტუალური მოდელი (Epigraphy Aggregation Conceptual Model (EACM)) შედგება ძირეული ელემენტის (მთავარი ობიექტის), რომლიდანაც ქვე-ელემენტები შეიძლება გამოიყოს, თითოეული ეს ელემენტი კი ასახავს ობიექტის იმ თვისებებს, რომელთა იდენტიფიცირება EpiDoc-ისა და CIDOC-ის საშუალებით მოხდა. ეს ქვე-ელემენტებია: არტეფაქტი, წარწერა, ვიზუალური მანიფესტაცია, დოკუმენტური მანიფესტაცია (Casarosa, Manghi and Mannocci 2014)



ილუსტრაცია: ეპიგრაფიკული მასალის აგრეგაციის კონცეპტუალური მოდელი (Epigraphy Aggregation Conceptual Model (EACM))

სწორედ ამ მოდელის გათვალისწინებით შეიქმნა ჯერ არმაზის ბილინგვის<sup>1</sup>, ხოლო შემდგომ ქართული ეპიგრაფიკული კორპუსის კონცეპტუალური მოდელები.

## მთავარი ობიექტი

კონცეპტუალური მოდელის მთავარ ელემენტს წარმოადგენს აბსტრაქტული ერთეული, რომელიც რეალიზდება მისი ქვე-ელემენტების საშუალებით. მთავარი ობიექტს მის ქვე-ელემენტებთან აერთიანებს საერთო იდენტიფიკატორები - სახელი და უნიკალური ნომერი, აღწერა, წყაროს შესახებ ინფორმაცია, გამოცემის მეტა მონაცემები და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ინფორმაცია.

## არტეფაქტი

არტეფაქტის ერთეული წარმოაჩენს შესასწავლი ეპიგრაფიკული ძეგლის ფიზიკურ მხარეს. EpiDoc-ი გვაძლევს საშუალებას

---

1 არმაზის ბილინგვის ელექტრონულ გამოცემაზე მუშაობა 2013 წლის ნოემბერში, ციფრული ჰუმანიტარიის ზამთრის სკოლაში მონაწილეობის შემდეგ დავიწყე. ზამთრის სკოლის მომხსენებლები იყვნენ მონიკა ბერტი და სიმონა სტოიანოვა, ლაიფციგის უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებისა და პერსეუსის ბიბლიოთეკის თანამშრომლები. ზამთრის სკოლის ფარგლებში გავეცანი EpiDoc-ის სტანდარტს, გავიღრმავე ცოდნა TEI-ს ელემენტების შესახებ, Oxygen Editor-ის გამოყენებით შევქმენი ეპიგრაფიკული ძეგლის რამდენიმე საცდელი XML. სკოლის დასრულების შემდეგ, დავიწყე EpiDoc სტანდარტის თარგმნასა და ბილინგვის ციფრულ გამოცემაზე მუშაობა. ლონდონის კინგს კოლეჯისა და ბოლონიის უნივერსიტეტებში გამართულ EpiDoc უორკშოპებზე მონაწილეობისას მომეცა საშუალება ჩემი პროექტი გამეცნო მკვლევრებისათვის, ვინც EpiDoc სტანდარტის შექმნასა და განვითარებაში იღებს მონაწილეობას. ორივე უორკშოფის ფარგლებში საშუალება მომეცა დამეხვეწა, გადამემუშავებინა და შემევსო XML ფაილი დამატებითი მონაცემებით.

მოვახდინოთ არტეფაქტის ტიპის (i.e. ძეგლის ტიპი), მასალის, ზომების, დეკორაციის, აღმოჩენისა და დაცვის ადგილის, დათარიღების კოდირება. CIDOC მოდელის მიხედვით, არტეფაქტი შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთ ან მეტი ვიზუალურ მანიფესტაციასთან (მაგალითად, ფოტოსთან) და წარწერასთან.

# გადაჭრილი პრობლემების აღწერა

მიუხედავად ქართველ მკვლევართა ძალისხმევისა, ქართული დღემდე რჩება ე.წ. ციფრულად „ნაკლულად აღწერილ“ (underdescribed) ენად. ეპიგრაფიკული და პაპიროლოგიური წყაროების ციფრული გამოცემის წესები, EpiDoc გაიდლაინები, თავდაპირველად ბერძნული და ლათინური წარწერების კოდირებისათვის შექმნა, (გაიდლაინების ავტორები ციფრული კლასიკოსები არიან, ციფრული ჰუმანიტარიის პროექტები, რომელიც ანტიკური ენებს, ლიტერატურასა და ისტორიას ეთმობა ციფრულ რესურს Digital Classicist-ზე იყრის თავს - digitalclassicist.org) თუმცა გაიდლაინებმა ეპიგრაფიკული მასალის ციფრული გამოცემის დეფაქტო სტანდარტის სტატუსი მოიპოვა და დღეს ამ სტანდარტით გამოიცემა სხვა, მაგალითად, ებრაული, ქართული, ეტრუსკული წარწერები. ამ ენებზე შესრულებული სხვადასხვა პერიოდის წარწერების თავისებურებებზე სტანდარტის მორგება განსაკუთრებული ამოცანაა, რომლის გადაჭრაც ამ ენებისა და ეპიგრაფიკის სპეციალისტებმა უნდა შეძლონ.

## **დიპლომატიური და კრიტიკული ტექსტი: ნუსხური, მხედრული, მთავრული**

ციფრული ეპიგრაფიკული გამოცემის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას წარმოადგენს კრიტიკული და დიპლომატიური ტექსტის ერთ გვერდზე წარმოდგენის შესაძლებლობა, უფრო ზუსტად, ერთხელ შესრულებული კოდირებით, წარწერის ტექსტისა და მეტამონაცემების XML ფორმატში ზედმინევენითი მონიშვნის შემდეგ, შესაძლებელი ხდება კრიტიკული და დიპლომატიური გამოცემის ამ ერთი ჩანაწერიდან აგება (HTML გვერდზე გვერდიგვერდ გამოსახვა).

ეპიგრაფიკული კორპუსის ლერძს წარმოადგენს მასში შემავალი წარწერების XML ფაილები და მათი გარდაქმნის XSLT ფაილი, (ე.წ. სტაილშიტი). ისევე როგორც, ბერძნული წარწერებისათვის, ქართული წარწერების შემთხვევაშიც წარწერის ტექსტის კოდირება მხედრული ასოებით ხდება, წარწერის ტექსტის მთავრულად (ან ნუსხურად) გარდაქმნის წესები XSLT სტაილშიტში გაიწერება. XSLT ფაილია პასუხისმგებელი განკვეთილობის ნიშნებისა და ქარაგმის გახსნის წესების ასახვაზეც (XSLT-ის შესახებ იხ. შესაბამისი ქვეთავი). EpiDoc-ის ყოველ რედაქციას თან ახლავს XSLT ფაილი, `startedition.xsl`, რომელიც წარმოადგენს ციფრული გამოცემისათვის ტრანსფორმაციის წესების საჭირო მინიმალურ წყებას. ცხადია, ეს მინიმალური წესები არ ასახავს ქართულის სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევას: გამოსაცემი წარწერები ნუსხური, მთავრული, მხედრული დამწერლობითაა შესრულებული, მათი კრიტიკული გამოცემები - მხედრულით. ამ თავისებურების ასახვისთვის საჭირო გახდა ორი რამ,





```
<xsl:when test="$parm-edition-type = 'diplomatic' and ancestor:::div[@type='edition'] and not(ancestor:::head)
```

```
and ancestor-or-self::t:*[@xml:lang][1][@xml:lang='ka'] and ancestor-or-self::t:*[@ana='nuskhuri']">
```

```
<xsl:value-of select="translate(.,'აბგდეეზჭთიკლმნდოპჟრსტკუფ-  
ქღყშჩცძწჭხჯჳჴ', 'ცყვერქოხწთოხოძჩააჲაჳჴსჵსჶჷჸჹი჻იჼიჽიჾ  
ოგჲკჳრძი')"/>
```

```
</xsl:when>
```

ეს ჩანაწერი ბუნებრივ ენაზე ასე შეიძლება ითარგმნოს: „იპოვე პარამეტრი 'დიპლომატიური გამოცემა' (იმისათვის, რომ ქარაგმა გაუხსნელად იქნას წარმოდგენილი) და წარწერის ტექსტში, რომელსაც ენად მითითებული აქვს ქართული (@xml:lang='ka'), დამწერლობად კი მთავრული (@ana='mtavruli'), მხედრული ასოები ჩაანაცვლე შესაბამისი მთავრული ასოებით“.

საქართველოს ეპიგრაფიკულ კორპუსში შესულია საქართველოს სომხური წარწერები და ასევე ის სომხური წარწერები, რომლებიც ქართულ ანთროპონიმიკასა და ტოპონიმიკას ახსენებენ, იმონებენ ქართველ მეფეთა სახელებს. სწორედ ამ წარწერების იმავე წესით წარმოსადგენად, tpi-text.xsl ფაილში გავწერეთ დიპლომატიურ და კრიტიკულ ტექსტს შორის შენაცვლების ეს კოდი:

```
<xsl:when test="$parm-edition-type = 'diplomatic' and ancestor:::div[@type='edition'] and not(ancestor:::head)
```



</handNote>

</handDesc>

კიდევ ერთი მაგალითი თორის ეპიგრაფიკულ კორპუსში წარმოდგენილი ბასილი კახის სავედრებელი წარწერის XML ფაილიდან:

<handDesc>

<handNote>წარწერა შესრულებულია <rs type="script">სწორი ეპიგრაფიკული ნუსხური</rs> ხელით. წარწერას განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს; წარწერის ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი და მარცხნიდან მარჯვნივ ზევით მიმართული სწორი ხაზი.

<width>0,3-0,3</width>

<height>0,1-1,8</height>

</handNote>

</handDesc>


თითოეული ფაილის ამ სახით კოდირებამ შესაძლებელი გახადა კორპუსის საძიებო გვერდზე (Facets) დამწერლობის საძიებო ერთეულად გამოყოფა:



აისრული“ ვალერი სილოგავამ შემოიღო, ამჟამად სწორედ ეს ტერმინია დამკვიდრებული.

IX-X საუკუნეების ლაპიდარული წარწერების დამწერლობებში იწყება გრაფემების სტილიზაცია, გვხვდება კიდურწერტილოვნება და კიდურწაისრულობა, ლიგატურა (შენიალება). კიდურწაისრულობისა და კიდურწერტილოვნების ზედმიწევნითი ანალიზი წარმოდგენილია ლია ახალაძის ნაშრომში „ქართული დამწერლობის პალეოგრაფიული მახასიათებლები აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში“.

კიდურწაისრული დამწერლობის მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს ხცისის ტაძრის 1002 წლით დათარიღებული წარწერა:



თუკი იქამდე მიიჩნეოდა, რომ კიდურნაისრული წერის სტილი ქართლში XI საუკუნის დამდეგს გაჩენილ კალიგრაფიულ სკ-

ოლას უკავშირდებოდა<sup>1</sup>, აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ამ თვალსაზრისით შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ:

„დამწერლობის ეს სახე, როგორც ჩანს, განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა აფხაზეთში, რადგან აქ გამოვლენილი კიდურნაისრული დამწერლობის ძეგლები ქართული ეპიგრაფიკული ფონდის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

საყურადღებოა ისიც, რომ კიდურნაისრული დამწერლობის ძეგლები, ძირითადად, XI საუკუნით თარიღდება, მაგრამ აფხაზეთის წარწერებში გვხვდება უფრო ადრინდელი ნიმუშები, რომლებიც ამ ტიპის ხელოვნებითი დამწერლობით არის შესრულებული, მაგალითად გუდაუთის რაიონის სოფ. ხუაფის (ხოფის) წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წარწერა, რომელშიც გიორგი II აფხაზთა მეფე და მისი ქალიშვილი გურანდუხტი არიან მოხსენიებული, შესაბამისად წარწერა 922-957 წლებით თარიღდება და ეს ძეგლი წარმოადგენს კიდურნაისრული დამწერლობის ყველაზე ადრინდელ ნიმუშს საქართველოში.“  
ლია ახალაძე, „ქართული დამწერლობის პალეოგრაფიული მახასიათებლები აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში“.

ამდენად, წარწერის დათარიღებისათვის ამ პალეოგრაფიული მახასიათებელს ხშირად აქვს მნიშვნელობა და მისი კოდირება აუცილებელია. ჩვენს კორპუსში ამ მონაცემების კოდირება ხდება ხელის მახასიათებლებთან ერთად:


---

1 ლ. მუსხელიშვილი: „გარკვეულ კალიგრაფიულ სკოლასთან გვაქვს საქმე, რომელიც დღეს დღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, XI საუკუნის დამდევამდე ჩამოყალიბდა, შესაძლებელია ქართლში“

<handNote>

<rs type="execution">ამოკვეთილი</rs> <rs type="script">ასომ-  
თავრული</rs> კიდურნერტილოვანი ნარნერა.

</handNote>



13603. Ахилгалаская церковь. Грузинская надпись в ограде на камне. 201.



## ლიგატურა (შენიალება)

### სტანდარტის მიხედვით დოკუმენტირება და ციფრულ გამოცემაში ასახვა

X-XI საუკუნიდან ქართულ წარწერებში გვხვდება ახალი პალეოგრაფიული ნიშნები: *ასოთა შეწიალება, ხვეული ხელი, სხვადასხვა სახის ქარაგმის ნიშნები, განკვეთილობის ნიშნების გამოყენება*.<sup>1</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია წარწერის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანი ამ თავისებურებების ასახვა კოდირებაშიც. (შენიალება დამახასიათებელია როგორც ქართული ხელნაწერის, ასევე ნაქარგობისათვის, ამ მცირე ქვეთავში საუბარი გვაქვს მხოლოდ ეპიგრაფიკული ძეგლების ციფრული დოკუმენტირების გზებზე).


EpiDoc სტანდარტი გვთავაზობს ლიგატურის (ლათინური ანბანის მაგალითზე)<sup>2</sup> დეფინიციასა და კოდირების მაგალითებს.

---

1 ვ. სილოგავა, ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან

2 “Letters joined in ligature, technically those which share a single stroke (usually an upright) forming part of both characters, such as adjacent M and N, but more broadly any two joined or superimposed characters.” EpiDoc გაილაინი, Scott Vanderbilt, Gabriel Bodard, Charlotte Tupman

ლიგატურა არის ჩვეულებრივ ორი, ან მეტი ასო საერთო შტრიხით, რომელიც მაფორმირებელი ორივე სიმბოლოსათვის. ლიგატურის ქართული შესატყვისი ტერმინია „შენიალება“. თუკი ლათინური ანბანის საფუძველზე შექმნილი განმარტებისათვის, ამოსავალია ასოთა საერთო მაფორმირებელი შტრიხი (stroke), ქართული ტერმინი მოგვაგონებს შენიალებათაგან ყველაზე ხშირს, ანის, ენის, ინის შენიალებას, ჩასმას დონის, ანისა და ონის მუცელში (წიაღში).



ვალერი სილოგავა კიდურნაისრული მთავრულის განვითარების შემდეგ ეტაპებს გამოჰყოფს:

დასაწყის ეტაპზე, X ს-ის დასასრულსა და XI ს-ის დასაწყისში, ასოები უპირატესად მრგვალი დუქტუსით არის გადმოცემული; მათ ახასიათებს შემდეგი პალეოგრაფიული თავისებურებანი: ანის განივი ხაზი ასო, ტანზე დევს; თანი ნახევრადნაისრული მოხაზულობისაა; ასოთა შენიალება ზომიერად არის გამოყენებული; ქარაგმის ნიშნად სწორი, განივი კიდურნაისრული ხაზებია დასმული; წაისრული ნიშნებით მხოლოდ ასოთა ბოლოებია გადმოცემული.

მომდევნო ეტაპზე, XI ს-ის 20-იანი წლების დასასრულიდან და 30-იანი წლებიდან, ანისა და დონის განივი ხაზები ყელის მე-

შვეობით უერთდება ასოს ტანს; ასოთა კიდურების ბოლოს დასმული ნაწვეტებული სამკუთხედები, ცალკეულ შემთხვევებში მიმართულია ასოს ტანის, როგორც შიგნით, ისე გარეთ.

მომდევნო ეტაპზე, XI ს-ის შუა ხანებიდან, რომელიც კიდურწაისრული დამწერლობის განვითარების დასრულებული საფეხურია, უფრო მეტად იზრდება ასოთა დეკორატიული გაფორმება — ნაწვეტებული სამკუთხედები ასოთა კიდურების გარდაგანა სხვა ნაწილებშიც დაისმის; **იზრდება ასოთა შეწიალების მაგალითები**; ამასთანავე, 30-იანი წლებიდან მკვეთრად მაღლდება ასოების დუქტუსი.

შეწიალებას მრავალ მაგალითს ვხვდებით ნუსხურით შესრულებულ ჭყონდიდის ტაძრის გრაფიტოებს შორისაც<sup>3</sup>. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არ არსებობს ლიგატურებიანი ფონტები ასომთავრულისა და ნუსხურისათვის (შესაბამისად, არ გვაქვს საშუალება დიპლომატიური გამოცემის განყოფილებაში ასოები შეწიალებული სახით წარმოვადგინოთ), საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის ფარგლებში ლიგატურები კოდირებულია EpiDoc სტანდარტის მიხედვით, ასევე შედგენილია და ივსება ნუსხა მთავრული და ნუსხური ლიგატურებისათვის.

EpiDoc-ი ლიგატურების მარკირებისათვის იყენებს TEI ელემენტს hi<sup>4</sup>. hi ელემენტი ფართე შინაარსისაა და შესაძლოა გამო-

---

3 ვ. სილოგავა სამეგრელო-აფხაზეთის ქართული წარწერები გვ. 94

4 იხ. <https://epidoc.stoa.org/gl/latest/ref-hi.html> და <https://tei-c.org/release/doc/tei-p5-doc/en/html/ref-hi.html>

	A	B	C	D	E
1	ლიტერატურა		წარწერა	გამოსახულება	წყარო
2	ჰი	ხუცერი	ჭყონდიდი, იოვანეს გრაფიტი XIII-XIV ს.		ვ. სილოგავა სამეგრელო-ფეხაზეთის ქართული წარწერები გვ. 94
3	ჰი	ხუცერი	ჭყონდიდი, იოვანეს გრაფიტი XIII-XIV ს.		ვ. სილოგავა სამეგრელო-ფეხაზეთის ქართული წარწერები გვ. 95
4	გვ	ასომთავრული	ბაგრატის ტაძარი		ანი შენიღებულება (ჩასმულია) ანსა და დონში (ჩამუდენიშუ შუმბიშევა) - ვ. სილოგავა „ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან“, გვ. 437
5	გვ	ასომთავრული	ბაგრატის ტაძარი		ანი შენიღებულება (ჩასმულია) ანსა და დონში (ჩამუდენიშუ შუმბიშევა) - ვ. სილოგავა „ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან“, გვ. 437
6	გვ	ასომთავრული	ნიკორწმინდა	<a href="https://drive.google.com">https://drive.google.com</a>	„სიტყვაში „აფხაზთა“ ანის შუეღში დანი ჩანწერილია „შენიღებულება“ ვარდულის სახით თითქმის ყოველი ორი ასის შუეღე გვხვდება ასოთა შენიღება, ხშირად უწვეული და არაბუნებრივი (მაგ. რაჟა და განისა და სხვ.)“ ვ. სილოგავა, „ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან“ გვ. 439
7	პჩ	ასომთავრული	ნიკორწმინდა	<a href="https://drive.google.com">https://drive.google.com</a>	„სიტყვაში „აფხაზთა“ ანის შუეღში დანი ჩანწერილია „შენიღებულება“ ვარდულის სახით თითქმის ყოველი ორი ასის შუეღე გვხვდება ასოთა შენიღება, ხშირად უწვეული და არაბუნებრივი (მაგ. რაჟა და განისა და სხვ.)“ ვ. სილოგავა, „ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან“ გვ. 440
8	ჩვ	ასომთავრული	ჭყონდიდი, იოვანესჭყონდიდიელის წარწერა XI		ვ. სილოგავა სამეგრელო-ფეხაზეთის ქართული წარწერები გვ. 55
9	ქჰ	ასომთავრული	ხევის კიდურწანასრული	<a href="https://upload.wikimedia">https://upload.wikimedia</a>	სიტყვაში „აგინი“ (შე-სტკ.) შიშირი ზობის რაჟ ჩასმულია განის ფეხსა და ბანს შორის; ვ. სილოგავა „ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან“ გვ. 438
10	ლჩ	ასომთავრული	ხევის კიდურწანასრული	<a href="https://upload.wikimedia">https://upload.wikimedia</a>	სიტყვაში „მოსაუგუნებლად“ (შე-13 სტრ.) წარი ჩასმულია: ხანსა და ბანს შორის და სიტყვაში „სელი სა“, ვ. სილოგავა „ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან“ გვ. 438
11	ზს	ასომთავრული	ხევის კიდურწანასრული	<a href="https://upload.wikimedia">https://upload.wikimedia</a>	(შე-13 სტრ.) სანი ჩასმულია ღასსა და ანს შორის; ვ. სილოგავა „ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან“ გვ. 438
12	ცვ	ასომთავრული	ხევის კიდურწანასრული, სარკულის წარწერა		შეგად ეფედერია ანს, ენს, ინს, ერთ ადგილას თითიფანისა და ხანის შენიღება დონსა, ანსა და ონში; ვ. სილოგავა „ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან“ გვ. 439
13	ცვ	ასომთავრული	ხევის კიდურწანასრული, სარკულის წარწერა		შეგად ეფედერია ანს, ენს, ინს, ერთ ადგილას თითიფანისა და ხანის შენიღება დონსა, ანსა და ონში; ვ. სილოგავა „ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან“ გვ. 440
14	ძვ	ასომთავრული	ხევის კიდურწანასრული, სარკულის წარწერა		შეგად ეფედერია ანს, ენს, ინს, ერთ ადგილას თითიფანისა და ხანის შენიღება დონსა, ანსა და ონში; ვ. სილოგავა „ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან“ გვ. 441
15	ფვ	ასომთავრული	ხევის კიდურწანასრული, სარკულის წარწერა		შეგად ეფედერია ანს, ენს, ინს, ერთ ადგილას თითიფანისა და ხანის შენიღება დონსა, ანსა და ონში; ვ. სილოგავა „ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან“ გვ. 442
16	ქვ	ასომთავრული	ხევის კიდურწანასრული, სარკულის წარწერა		შეგად ეფედერია ანს, ენს, ინს, ერთ ადგილას თითიფანისა და ხანის შენიღება დონსა, ანსა და ონში; ვ. სილოგავა „ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან“ გვ. 442

იყენებოდეს ნებისმიერი სახის გრაფიკულად განსხვავებული სიმბოლოს, სიტყვის თუ ფრაზის აღსანიშნად<sup>5</sup>. hi ელემენტი აუცილებლად მოითხოვს (required) @rend ატრიბუტს. @rend ატრიბუტის შემოთავაზებული მნიშვნელობებია:

- acute** მკვეთრი მახვილი (oxia, tonos) დიაკრიტიკული ნიშანი, ა
- apex** აპექსი, გრძელი ხმოვნის აღმნიშვნელი ნიშანი, ე
- asper** ძლიერი ფშვინვა, ასპირაციის ნიშანი
- circumflex** შემოსილი მახვილი
- diaeresis** დიარეზი, ორნერტილი, დიაკრიტიკული ნიშანი, მაგალითად: ა
- grave** ბლავი მახვილი
- intraline** ინტრალაინი, გადახაზული ასოები

5 hi (highlighted) marks a word or phrase as graphically distinct from the surrounding text.

**inverted** დანარჩენი ტექსტისადმი შეტრიალებული, დახრილი ასოები

**italic** იტალიკი, დახრილი ასოები

**lenis** სუსტი ფშვინვა, ასპირაციის ნიშანი

**ligature** ლიგატურა, შენიაღებული ასოები

**normal** ჩვეულებრივი ასოები, მოთავსებული უჩვეულო ტექსტში

**reversed** გარემომცველი ტექსტის მიმართ შებრუნებული ასოები

**sling-above** ზემოდან „მარყუქით“ შეერთებული ასოები

**sling-below** ქვემოდან „მარყუქით“ შეერთებული ასოები

**small** მეზობელ ასოებთან შედარებით მცირე სიმბოლო

**stacked** ასო ამოკვეთილი უშუალოდ მეორე ასოს თავზე

**subscript** სუბსკრიპტი, გარემომცველი ტექსტზე დაბლა მოთავსებული ასოები

**superscript** გარემომცველ ტექსტზე მაღლა მოთავსებული ასოები

**supraline** ქარაგმის ნიშანი (ლათინური ეპიგრაფიკის მაგალითზე, ჩვეულებრივ ბრტყელი სუპრალინეარული ხაზი).

**tall** გარემომცველ ტექსტთან შედარებით მაღალი ასოები

**underline** ტექსტი/ასოები ქვეშ ამოკვეთილი ხაზით

hi ელემენტისა და @rend ატრიბუტის საშუალებით EpiDoc გაიდლაინების მიხედვით ლიგატურები კოდირებულია აფროდი-

სიასის ტაძრის ბერძნულ წარწერათა და ტრიპოლიტანიის ლათინურ წარწერათა კორპუსებში:

კოდირების მაგალითი (1):

```
ἀρχιερέας<hi rend="ligature" xml:id="hi1">v</hi>  
<hi rend="ligature" xml:id="hi2">ἔ</hi>κγόνου  
<link target="hi1 hi2"/>
```

ტრანსფორმირებული შედეგი EpiDoc P5 სტაილშეიტის მიხედვით:

**London style:** ἀρχιερέας ἔκγόνου

(აფროდისიასის ტაძრის წარწერათა კორპუსი InsAph: 1.189)

კოდირების მაგალითი (2):

```
<hi rend="ligature">ae</hi>
```

ტრანსფორმირებული შედეგი EpiDoc P5 სტაილშეიტის მიხედვით:

- **London style:**  $\widehat{ae}$

(ტრიპოლიტანიის ლათინურ წარწერათა კორპუსი [IRT: 991](#))

ეს კი გახლავთ ლიგატურის კოდირების მაგალითები საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსიდან:

1. ECG006, ამბაზასპის მეუღლის, ანაგრანესის ბერძნული წარწერა:

`<persName><name nymRef="Avaypávης">Avaypá<hi rend="ligature">ση</hi></name></persName>`

მახვილი:

ფშვინვის ნიშანი:



მკვეთრი



ბლაგვი



ძლიერი



სუსტი



შემოსილი (ვარიანტები)



მახვილთან კომბინაციაში



2. ECG354, ლუვრის წარწერა:

`<w lemma="მე">მე<hi rend="ligature">ცა</hi></w>`

# ქარაგმა<sup>1</sup>

## სტანდარტის მიხედვით დოკუმენტირება და ციფრულ გამოცემაში ასახვა

მიღებულია, რომ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაქარაგმების ისეთივე ნესები გამოიყენებოდა როგორც ხელნაწერებში. მხოლოდ ასოიანი დაქარაგმების დროს შემოკლების მიზნით წერდნენ სიტყვის მხოლოდ დასაწყის ასოს. შუაშეკვეცილობით დაქარაგმების დროს შესამოკლებელი სიტყვა წარმოდგენილია დასაწყისი და ბოლო ასოებით ან მარცვლებით. უხმოვნო დაქარაგმების დროს შემოკლება ხდება ხმოვნების ხარჯზე. შემოკლების მიზანი იყო საწერი მასალის, დროისა და შრომის ეკონომია. გრაფიკულად ქარაგმა არის როგორც სწორი, ჰორიზონტალური ხაზი (ეპიგრაფიკულ ძეგლებში), კიდურეწერტილოვანი (V-VII სს.), წაისრული (V), ისე გაზრდილი ~. XV საუკუნიდან მოყოლებული მხედრული დამწერლობის ძეგლებში

---

1 ქარაგმა (ქარაგმისა) 1. «ასონაკლების ნიშანი» (საბა), ძველ ხელნაწერებში, წარწერებში შემოკლებული სიტყვის თავზე დასმული ნიშანი ~. 2. შემოკლებულად დაწერილი სიტყვა, რომელსაც ასეთი ნიშანი უზის. ტერმინი "ქარაგმა" გვხვდება მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ (Xს.) (S 425).



ქარაგმას სულ სხვა სახეობა გვხვდება, ის გაკრული ონივით იწერება. ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის დაქარაგმებასთან დაკავშირებული პალეოგრაფიული ტერმინები: ბლომშეკვეცილობითი დაქარაგმება, შუაშეკვეცილობითი, მხოლოასოიანი და უხმოვნო დაქარაგმება. დაქარაგმების წესებს საგანგებოდ შეეხო ანტონ I „ქართული ღრამატიკის“ I (1753) და II რედაქციებში (1760წ.). ც. ჭანციევას მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი დაქარაგმების წესები ძველქართულ ტექსტებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში.

ქართულში, ბერძნულის მსგავსად, შუაკვეცილობის წესით ქარაგმდებოდა ე. წ. წმიდა სახელები (nomina sacra). დაქარაგმება მოტივირებული იყო საღმრთო სახელთა საკრალურობით. უძველეს ქართულ ძეგლებში, პალიმფსესტებში (V-VII საუკუნეები) ბერძნულისაგან განსხვავებით წმიდა სახელებთან ერთად დაქარაგმებულია კავშირებიც: რ~ (რამეთუ), ხ~ (ხოლო), ა~ (არამედ), ვ~ (ვიდრე); ნაცვალსახელები: რ~ლი, რლ~ნ (რომელმან), ყ~ლი (ყოველი). მხოლოასოიანი დაქარაგმება – წარმოდგენილია მხოლოდ დასაწყისი ასოთი: რ~ (რამეთუ), ხ~ (ხოლო), გ~ (განთანდებული), მ~ (მოთხრობითის ბრუნვის ნიშანი მან). სიტყვას, ჩვეულებრივ, ერთი ქარაგმის ნიშანი დაესმოდა. დაქარაგმებული სიტყვების რაოდენობა თანდათანობით იზრდებოდა მომდევნო ხანის ძეგლებში.

საქართველოს ციფრული ეპიგრაფიკული კორპუსისასთვის მარკირებულ ხუთასზე მეტ ქართულ წარწერაში, ცხადია, მრავლადაა დაქარაგმების ნიმუშები, EpiDoc სტანდარტის მიხედვით ნებისმიერი შემოკლების კოდირებისათვის გამოიყენება expan, ex, abbr ელემენტები, რომლებიც, თავის მხრივ, TEI-ის ნაწილია. expan ელემენტი შეიცავს ex და abbr ელემენტებს და აღნიშნავს გახსნილ ქარაგმას. abbr ელემენტით მოინიშნება

ის ასოები, რომლებიც ქვაბა შემორჩენილი, ex ელემენტით კი ამოკითხული დაქარაგმებული ასოები.

განვიხილოთ, პირველი, კოდირების ყველაზე მარტივი შემთხვევა, როდესაც დაქარაგმებული სიტყვა მკვევალი (შუღლი) სრულადაა ამოკითხული:

```
<w lemma="მკვევალ"><expan><abbr>მკ</abbr><ex>ევალ</ex><abbr>ლი</abbr></expan></w>
```

### ECG010, საჰაკდუხტის ნარწერა

ახლა ვნახოთ ქარაგმის კოდირების მაგალითები ჯავახიშვილის მიერ გამოყოფილი ტიპების მიხედვით.

- **ბოლოშეკვეცილობითი დაქარაგმება:**  
წყლითა (წყლით)

```
<w lemma="წყალ"><expan><abbr>წყლით</abbr><ex>ა</ex></expan></w>
```

### ECG122, საფარის წმ. საბას ტაძრის იოვანე ღვიას შვილის ნარწერა

- **შუაშეკვეცილობითი:**  
წმიდაო (წო)

```
<expan><abbr>წ</abbr><ex>მიდა</ex><abbr>ო</abbr></expan>
```

**ECG032, მცხეთის ჯვრის 595/605 წნ. მოსახსენებლის ფრაგ-  
მენტი (II)**

- **მხოლოასოიანი:**

ადიდენ (ა)

<expan><abbr>ა</abbr><ex>დი</ex>დ<ex>ე</ex>ნ</  
expan></w>

**ECG225, საამშენებლო წარწერა  
ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის მოსახსენებლით**

ნიაღსა (ნ)

<expan><abbr>ნ</abbr><ex>იაღსა</ex></expan>

**ECG474, ლიხნის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ,  
1066**

- **უხმოვნო დაქარაგმება:**

შეინყალენ (შწყნ)

<expan><abbr>შ</abbr><ex>ეი</ex><abbr>წყ</ab-  
br><ex>ალე</ex><abbr>ნ</abbr></expan>

**ECG033, ურბნისის სიონის საამშენებლო წარწერა კოსტან-  
ტისა და მამა მიქაელისა**

შერეუნებულ (შჩნზლ)

<expan><abbr>შ</abbr><ex>ე</ex><abbr>ჩ</abbr><ex>ე</ex><abbr>ნ</abbr><ex>ე</ex><abbr>ბ</abbr><ex>ე</ex><abbr>ლ</abbr></expan>

### **ECG352, კოშის წარწერა**

განგუარინენ (გნგრნნ)

<expan><abbr>გ</abbr><ex>ა</ex><abbr>ნგ</abbr><ex>უა</ex><abbr>რ</abbr><ex>ი</ex><abbr>ნ</abbr><ex>ე</ex><abbr>ნ</abbr></expan>

### **ECG351, ქობაირის მონასტრის შაჰანშა მანდატურთუხუცესის ძის, მჰარგრძელის, და მისი თანამეცხედრის წარწერა**

ამ გზით შესრულებული კოდირება, საშუალებას გვაძლევს ავ-  
აგოთ კორპუსის საინდექსაციო გვერდი ქარაგმისათვის, სადაც  
კორპუსის ყველა ქარაგმა, მისი გახსნა, წარწერის ნომერი და  
შესაბამისი ხაზია მითითებული.

წასა	წმინდაისა	ECG902.4
წასა	წმინდასა	ECG902.3
წა	წმიდა	ECG248.1 ECG248.1 ECG359.2.6
წა	წმიდათა	ECG315.2
წა	წმიდასა	ECG114.6 ECG114.8 ECG146.7
წა	წმიდისა	[ECG069.2] ECG101.1.6 ECG221.3 ECG222.3 ECG222.4
წდათა	წმიდათა	ECG527.1
წდა	წმიდისაჲთა	ECG068.1

კვადრატული ფრჩხილით აღნიშნულია წარწერა, სადაც ქარაგმა აღდგენილია რედაქტორ-გამომცემლის მიერ. საინდექსაციო გვერდი შესაბამისი XSLT-ის საშუალებით დავალაგეთ ანბანის რიგზე, შესაბამისად, თვალსაჩინოა ერთი და იმავე სიტყვის დაქარაგმების განსხვავებული შემთხვევები, ზოგჯერ, იმავე წარწერაშიც კი.

ქართული ხელნაწერებისა და წარწერების აქამდე არსებულ ბეჭდურ თუ ციფრულ გამოცემებში<sup>2</sup> ქართული ქარაგმის აღსანიშნად ძირითადად გამოიყენებოდა ტრანსლინგვური სიმბოლო მცირე ტილდე ~ (U+02DC, &#732;), რომელიც გრაფიკულად, მართალია, მოგვაგონებს ქარაგმას, მაგრამ, ერთია, რომ დამოუკიდებელ სიმბოლოდ აღიქმება და წყვეტს დაქარაგმებულ სიტყვას, მაგალითად: ა~დ (არამედ); მეორეც, სიმბოლო, საერთაშორისო შეთანხმების მიხედვით, ნაზალიზაციის აღსანიშნად გამოიყენება და ფუნქციათა ამგვარი აღრევა არ არის სასურველი. ციფრული ტიპოგრაფიის სპეციალისტების, ქართული ფონტების ინჟინერთა აზრით, მეტად მართებულია

ქარაგმის აღსანიშნად კომბინირებული ორმაგი ტილდეს გამო-  
ყენება  $\sim$  (U+0360 &#x360;), ეს სიმბოლო, ქარაგმის მსგავს-  
ად, დაქარაგმებული სიმბოლოს თავზე ექცევა და არ წყვეტს  
სიტყვას:  $\sim$ დ (არამედ); კომბინირებული ტილდეს გამოყენება  
თავიდან აგვაცილებს ფუნქციურ აღრევასაც.



# ნაწილი III



## რა არის XML?

ციფრული ეპიგრაფიკული კორპუსის უმცირეს, მაგრამ ძირეულ ელემენტს თითოეული წარწერის XML ფორმატში მონიშნული წარწერა წარმოადგენს. ამდენად, მნიშვნელოვანია გავერკვეთ, რას წარმოადგენს XML.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად გაჩნდა კომპიუტერების, უზარმაზარი გამომთვლელი მანქანების განსხვავებული მოდელები. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები კომპიუტერების განსხვავებულ მოდელებს ქმნიდნენ. კომპიუტერებს შორის ინფორმაციის გაცვლა საკმაოდ რთული პროცესი იყო, ვინაიდან არ არსებობდა ერთიანი ფორმატი, რომელიც ინფორმაციის გაცვლის საკითხს დაარეგულირებდა. რთული იყო ინფორმაციის ერთი კომპიუტერიდან მეორეში გადატანა ან ერთ კომპიუტერში დამუშავებული ინფორმაციის მეორეში გახსნა.

ერთიანი ქსელის, ინტერნეტის შემუშავებამ ეს საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა, ვინაიდან შესაძლებელი გახდა

მანძილის მიუხედავად კომპიუტერების ერთმანეთთან დაკავშირება და მათ შორის ინფორმაციის გაცვლა.

სანამ საქმე ინტერნეტის საყოველთაო გამოყენებამდე მივიდოდა, 1970 წელს IBM-ის სამმა თანამშრომელმა ჩარლს გოლდფარმა (Charles Goldfarb), ედ მოშერთან (Ed Mosher) და რეი ლორიესთან (Ray Lorie) ერთად შეიმუშავეს გენერალიზებული მარკირების ენა (Generalized Markup Language) რომელსაც შემოკლებით GLM შეარქვეს. GML-ი საშუალებით შესაძლებელი გახდა ტექნიკურ დოკუმენტაციაში სპეციალური მინიშნებების, თეგების ინტეგრირება, დოკუმენტაციის თეგებით მარკირება.

```
:h1.Chapter 1: Introduction
:p.GML supported hierarchical containers, such as
:ol.
:li.Ordered lists (like this one),
:li.Unordered lists, and
:li.Definition lists
:eol.
as well as simple structures.
:p.Markup minimization (later generalized and formalized in SGML),
allowed the end-tags to be omitted for the "h1" and "p" elements.
```

## GML-ის სკრიპტის ნიმუში

```
:h1.Chapter 1: Introduction
```

მარკირების შემთხვევაში ინფორმაციის დართული აქვს განმარტება თეგის სახით. ზევით მოყვანილ მაგალითში სიტყვას Introduction (შესავალი) დართული აქვს თეგი Chapter 1 (თავი პირველი). შესაბამისად თეგი განმარტავს რომ Introduction (შესავალი) უბრალოდ ტექსტში მოცემული რიგითი სიტყვა კი არ არის არამედ სათაურს წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ

პირველ თავს ეკუთვნის.

GML თავის მხრივ სხვა მარკირების ენების შექმნის წინა პირობა გახდა. მაგალითად SGML-ის რომელიც მეტისმეტად ტექნიკურად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა რომ დოკუმენტების მარკირების ეს ფორმატი კარგად იყო მორგებული კომპიუტერებს შორის ინფორმაციის გაცვლას, მისი გამოყენება ადამიანისათვის საკმაოდ რთული იყო, ამიტომ, ასეც შიფრაჟდნენ «Sounds Great, Maybe Later», საინტერესოა, მაგრამ სხვ დროს გამოვიყენებთ.

კიდევ ერთი საკმაოდ პოპულარული მარკირების ენა, რომლის შექმნაც GML-მა განაპირობა HTML-ი ანუ ჰიპერტექსტური მარკირების ენა (Hyper Text Markup Language). HTML-ი გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიქმნა დღესაც აქტიურად გამოიყენება. ამ მარკირების ენის საშუალებით იქმნება ვებგვერდები. ვებგვერდის შექმნის პროცესი ტექსტის, ფოტო, ვიდეო და აუდიო ფაილების მარკირების პროცესს წარმოადგენს. ვებგვერდის თითოეულ კომპონენტს, ენიჭება შესაბამისი თეგი რომელიც გამოყოფს მას დანარჩენი ელემენტებისაგან და განსაზღვრავს სად და როგორი სახით უნდა გამოჩნდეს ის ვებგვერდზე. მაგალითად თეგი <h1> აღნიშნავს რომ მოცემული ელემენტი ტექსტი არის სათაური ხოლო <p> კი აღნიშნავს რომ მოცემული ელემენტი ტექსტის აბზაცია. ხოლო თეგით <alt> მარკირებული ტექსტი ალტერნატიული ტექსტია რომელიც გამოსახულებაზე მაუსის გადატარების დროს ჩნდება. ამ თეგით მარკირებული ტექსტი ვებგვერდის გახსნისას არ ჩანს. ის მხოლოდ აშინ გამოჩნდება თუკი გამოსახულებაზე მაუსს გადაატარებთ.

```

<!DOCTYPE html>
<html>
  <head>
    <title>This is a title</title>
  </head>
  <body>
    <div>
      <p>Hello world!</p>
    </div>
  </body>
</html>

```

ვებგვერდები თავის მხრივ სხვადასხვა კომპიუტერებზე და კომპიუტერულ მოწყობილობებზე ერთნაირად იხსნება, ამ მოწყობილობებს შორის არსებული განსხვავების მიუხედავად ერთნაირად გამოიყურება.

თუკი SGML-ის საკმაოდ რთული მარკირების ენა იყო, HTML-ის მასიურმა გამოყენებამ მისი SGML-ის განსხვავებით სიმარტივე განაპირობა. მარკირების ეს ფორმატი საკმაოდ კარგად არის მორგებული ვებგვერდებს, მაგრამ ისეთი ფორმატის შექმნის აუცილებლობა გაჩნდა, რომელიც ერთი მხრივ, არ იქნება SGML-ის რთული ანუ არა კომპიუტერის არამედ ადამიანისათვის იქნება ადვილად სამუშაო და მეორე მხრივ ინფორმაციის მარკირებისა და რაც მთავარია ინფორმაციის შესანახად იქნება მოსახერხებელი. ასე შეიქმნა XML-ი.

## როგორ მოვედით XML-მდე?

XML-ის და ზოგადად მისი მსგავსი მარკირების ენების არსებობამდე მონაცემების გაცვლისას აუცილებელი იყო ინფორმაციის მიმღებსა და გამცემს შორის ფორმატის შეთანხმება.

მაგალითად, როდესაც ორ კომპიუტერს შორის ხდება რიცხვების გაცვლა: რიცხვი, განმარტების გარეშე თუ რას ნიშნავს იგი, არაფრისმთქმელია. მაგალითად ერთი კომპიუტერიდან მეორეში გაიგზავნა რიცხვი 100. აუცილებელია, რიცხვს მოჰყვეს გარკვეული მინიშნება, რომელიც განმარტავს რას აღწერს ეს რიცხვი, მაგ.: მანძილს, პროპორციას თუ განვლილ დროს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები შეთანხმდებიან, როგორ მოხდება სხვადასხვა სახის ინფორმაციის მარკირება შესაძლებელი გახდება მათ შორის ინფორმაციის გაცვლა.

XML-ის მსგავს ფორმატში, ნებისმიერი სახის მინიშნება — თეგების (მარკერების) – საშუალებით თავად ამ ფორმატშია ჩანერილი. ანუ ამ ფორმატში ნებისმიერ ინფორმაციას შესაძლებელია თავისი განმარტება, მინიშნება დაურთო. ამგვარად წინასწარ აღარ არის საჭირო პირობით ნიშნებზე ან ფორმატზე შეთანხმება. ვინაიდან XML-ში მონაცემები საჭირო განმარტებების თანხლებით არის მოცემული. შესაბამისად მათი ამოკითხვა ყველგან ერთნაირი სახით მოხდება.


XML-ის საშუალებით როგორც უკვე ვნახეთ ინფორმაციის მარკირება, მისთვის ტეგების მინიჭებაა შესაძლებელი. ამგვარად XML-ის ფაილში მოთავსებული ინფორმაცია კარგად არის ორგანიზებული. მისი ამიკითხვა შეუძლია როგორც ადამიანსა ასევე კომპიუტერს. დროთა განმავლობაში XML-ში არსებული ინფორმაციის სხვადასხვა სახით დალაგების ან სულაც XML-ის ფაილის სხვა ფაილად გადაკონვერტირების საჭიროება გაჩნდა. მაგალითად XML ფაილის ვებგვერდად გადაკეთება. ამ მიზნებისათვის შეიქმნა XSLT-ი. XSLT (Extensible Stylesheet Language Transformations) ცხრილების გაფართოვებული სტილ-

```
messages_ka.xml [Users/tamarkalkhitashvili/Documents/Corpus/webapps/ROOT/assets/translati
Path 2.0 - /catalogue/message
messages_ka.xml x
catalogue message
1 <?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
2 <!-- Example format for catalogue files. -->
3 <catalogue xml:lang="ka">
4
5 <!-- header -->
6 <message key="ecg">სეკ</message>
7
8
9 <!-- მენიუ -->
10 <message key="menu-inscriptions">წარწერები</message>
11 <message key="menu-indices">ინდექსი</message>
12 <message key="menu-index-abbreviation">ქარაგმა</message>
13 <message key="menu-index-fragment">ფრაგმენტები</message>
14 <message key="menu-index-lemma">ლემა</message>
15 <message key="menu-index-numeral">რიცხვი</message>
16 <message key="menu-index-person_name">პირობ საძიებელი</message>
17 <message key="menu-index-symbol">სიმბოლო</message>
18 <message key="menu-index-word">სიტყვანი</message>
19 <message key="menu-index-role_name">მოღებები</message>
20 <message key="menu-index-place_name">ადგილა საძიებელი</message>
21
22 <message key="menu-prosopography">პროსოპოგრაფია</message>
23
24 <message key="menu-search">ძიება</message>
25 <message key="menu-admin">ადმინი</message>
26 <message key="home-title">საქართველის ეპიგრაფიკული კორპუსი</message>
27 <message key="language">ენა</message>
28 <message key="about">პროექტის შესახებ</message>
29
30 <!-- added text -->
31 <message key="menu">
32 მენიუ
33 </message>
34
35 <message key="home-text">საქართველოში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ქრონოლოგიული მენიუა მიერ XX საუკუნის 40-იანი წლებიდან შექმნილი
36 ეპიგრაფიკული და პალიოლოგიური ტექსტების გამოცემის პირველი საერთაშორისო სტანდარტი 1931 წელს შეიქმნა და დაიხსნა კონვენციის სახელით.
37 EAGLE მუშაობს EpiDoc სტანდარტის მიხედვით შექმნილი ელექტრონული გამოცემების ე.წ. Linked Data-ს (ბმულებით დაკავშირებული მონაცემები) პ
38 </message>
39
40 <message key="home-text-first">
41 საქართველოში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ქრონოლოგიული მენიუა მიერ XX საუკუნის 40-იანი წლებიდან შექმნილი კრიტიკული გამოცემები
42 </message>
43 <message key="home-text-second">
44 ეპიგრაფიკული და პალიოლოგიური ტექსტების გამოცემის პირველი საერთაშორისო სტანდარტი 1931 წელს შეიქმნა და დაიხსნა კონვენციის სახელით.
45 </message>
46 <message key="home-text-third">
47 EpiDoc-ის წესების ერობლითა თავდაპირველად იქმნებოდა დაიხსნა კონვენციის მიხედვით გამოცემული წყაროების ციფრული დოკუმენტაციის სახელით.
48 EAGLE მუშაობს EpiDoc სტანდარტის მიხედვით შექმნილი ელექტრონული გამოცემების ე.წ. Linked Data-ს (ბმულებით დაკავშირებული მონაცემები) პ
49 </message>
50 <message key="visual-content-source">
51 წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი

```

თა ცხრილების ტრანსფორმირების ენა. XSLT ერთგვარი პრ-ოგრამირების ენაა რომლის საშუალებითაც XML ფაილისაგან შეგვიძლია ახალი XML ფაილი შევქმნათ რომელშიც ინფორმ-აცია სხვაგვარად იქნება ორგანიზებული. ან HTML ფაილი ანუ ვებგვერდი. ასევე შეგვიძლია გადავაქციოთ ტექსტურ ფაილად

ან მაგალითად PDF-ათ და ასე შემდეგ.



XSLT-ის საშუალებით შესაძლებელია XML-ის ცალკეული კომპონენტების გამოძახება და მათი საშუალებით ახალი ფაილის აწყობა.

## **რა არის EFES(EpiDoc Front-End Services tool)?**

ციფრული გამოცემის მნიშვნელობა თანამედროვე ეპიგრაფიკოსებს კარგად აქვთ გააზრებული. დღეისათვის EpiDoc წესებს, სქემასა და ციფრული ეპიგრაფიკული საზოგადოების მიერ შექმნილ სხვა ხელსაწყოებს ეპიგრაფიკული და პაპიროლოგიური მასალის TEI-ის მიხედვით XML ფორმატში კოდირებისა და ციფრული გამოცემისათვის ასამდე საერთაშორისო პროექტი იყენებს. ყოველწლიურად EpiDoc-ის მიხედვით მასალის კოდირების ტრენინგს ესწრებიან სხვადასხვა ენისა და პერიოდის ეპიგრაფიკული მასალის მკვლევრები<sup>1</sup>. EFES (EpiDoc Front-End Services tool) იქმნება და ვითარდება ენდიუ მელონის ფონდის დაფინანსებით 2017 წლიდან გაბრიელ ბოდარისა და პოლინა იორდანოვას მიერ EpiDoc-ის წესების მიხედვით კოდირებული მასალის ციფრული გამოცემის საჭიროების გადასაჭრელად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უფასო ხელსაწყო იმ მკვლევარებისათვის, რომელთაც ზურგს არ უმაგრებს ციფრული ჰუმანიტარიის მძლავრი ლაბორატორია ან ინსტიტუტი შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერით. თუმცა, EFES მნიშვნელოვანი ხელსაწყოა არა მხოლოდ კოდირებული მასალის საბოლოო ციფრული გამოცემისათვის, არამედ მისი

---

<sup>1</sup> ერთ ასეთ ტრენინგს ციურიხის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევართათვის 2019 წლის 9-12 სექტემბერს ვუძღვებოდი ელი მილონასის ხელმძღვანელობით.



რედაქტირების და რეცენზირებისათვისაც (ანუ ციფრული ეპიგრაფიკული, სიგილოგრაფიული თუ პაპიროლოგიური პროექტის მიმდინარეობისას). თუმცა, EFES მნიშვნელოვანი ხელსაწყოა არა მხოლოდ კოდირებული მასალის საბოლოო ციფრული გამოცემისათვის, არამედ მისი რედაქტირების და რეცენზირებისათვისაც (ანუ ციფრული ეპიგრაფიკული, სიგილოგრაფიული თუ პაპიროლოგიური პროექტის მიმდინარეობისას). EFES-ის ვიზუალიზაციის, საინდექსაციო და ძიების ხელსაწყოები ერთი მხრივ, ეპიგრაფიკული კორპუსის ვალიდაცასა და რედაქტირებას ემსახურება, მეორე მხრივ კი კორპუსის კრიტიკული აპარატის შედგენა-გამდიდრებისათვისაა საჭირო. ამ ხელსაწყოების შექმნაზე აქცენტი გაკეთდა, რადგან EFES-ის შემქმნელებს ეპიგრაფიკული და პაპიროლოგიური ციფრული საგამომცემლო პროცესის მნიშვნელოვან ელემენტად კვლევითი პროცესი წარმოუდგენიათ.

EFES-ის შექმნის მიზანი იყო ღია პლატფორმის შეთავაზება ციფრული ეპიგრაფიკოსებისათვის ისეთივე მდიდარი ციფრული გამოცემის შესაქმნელად, როგორებიცაა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის უძველეს წარწერათა კორპუსი (Ancient Inscriptions of the Northern Black Sea (IOSPE)), ტრიპოლიტანიის ლათინურ წარწერათა კორპუსი (Inscriptions of Roman Tripolitania), აფროდისიასის ბერძნულ წარწერათა კორპუსი (Inscriptions of Aphrodisias) და ბრიტანეთის რომაულ წარწერათა კორპუსი (Roman Inscriptions of Britain). ყველა ეს დიდი პროექტი მდგრადი ტექნიკური მხარდაჭერით სარგებლობს. EFES პლატფორმა აერთიანებს ეპიგრაფიკული მასალის ციფრული გამოცემის ძირეული კომპონენტებს: თითოეული წარწერის კრიტიკული და დიპლომატიური გამოცემას, ამ წარწერათა ისტორიული და აღწერითი მონაცემებს, ინდექსებს, სარჩევსა და მრავალფე-

როვან საძიებო გვერდებს; იმისათვის, რომ მკვლევარმა ტექნოლოგიებში ძირეული გარკვევის გარეშე შეძლოს კოდირებული მასალის ციფრული გამოცემა.

EFES-ის ბაზას წარმოადგენს 2010 წელს კინგს კოლეჯის ციფრული ჰუმანიტარიის ლაბორატორიაში შექმნილი ხელსაწყო Kiln, რომელიც ციფრული ჰუმანიტარიის ორმოცდაათზე მეტი პროექტის განხორციელებისათვის იქნა გამოყენებული, მათ შორის არის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის წარწერათა კორპუსი (IOSPE). პლატფორმა XML-ში კოდირებულ წარწერებზე სამუშაოდაა შექმნილი და თავადაც დიდ წილად XML ფორმატშია დანერგილი, რათა ტექსტის კოდირების მცოდნე მკვლევარ-გამომცემელს გაუადვილოს პლატფორმის საკვლევ მასალაზე მორგება. Kiln შექმნილია Apache Cocoon ტექნოლოგიით; მასში ინტეგრირებულია საძიებო პლატფორმა Apache Solr, Sesame 2 როგორც RDF საცავი და ჩაშენებული Jetty ვებ სერვერი. თემფლექსების სისტემა XSLT-იზეა დაფუძნებული, ფონტ-ენდის ფრეიმვორკად კი გამოყენებულია Foundation.

დღეისათვის EFES პლატფორმას ციფრული გამოცემისათვის იყენებს ხუთი ეპიგრაფიკული პროექტი: რომაული კირენაიკას კორპუსი (Inscriptions of Roman Cyrenaica), ტელამონი, ბულგარეთის ბერძნულ წარწერათა კორპუსი (Telamon: Greek Inscriptions from Bulgaria), სიჯიდოკი, ბიზანტიური სიგილოგრაფიის კორპუსი, (SigiDoc: text encoding for Byzantine sigillography), საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი (Epigraphic Corpus of Georgia), ვერნაკულარის ეპიგრაფიკული ბაზა (Epigraphic Database Vernacular). ასევე მიმდინარეობს თანამშრომლობა ხეთური ლურსმული წარწერების ციფრული გამოცემის საჭიროებებზე EFES პლატფორმის მორგებისათვის.

## საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი EFES გარემოში

საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის (ECG, Epigraphic Corpus of Georgia) EFES გარემოზე მორგება პლატფორმის შექმნიდანვე დავიწყეთ. 2017 წლის სექტემბერში გაბრიელ ბოდარისა და პოლინა იორდანოვას (პლატფორმის შემქმნელები) EFES ციფრული ეპიგრაფიკის დახურულ სემინარზე წარმოადგინეს. განვიხილოთ EFES-ის, როგორც ღია პლატფორმის კერძო კვლევით პროექტზე მორგების თავისებურებები საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის მაგალითზე.

უნდა ითქვას, რომ EFES ინგლისურენოვანი პლატფორმაა, თუმცა გათვალისწინებულია თარგმანის შესაძლებლობები. პირველ რიგში, სწორედ პლატფორმის გარემოს გაქართულებით დავიწყეთ. თარგმანისათვის პლატფორმა იყენებს `<i18n:text>` (ინტერნაციონალიზაციის) ელემენტს, თითოეული სათარგმნი ველი ამ ელემენტში თავსდება. ელემენტს უნდა მიეთითოს `i18n:key`, რომლის შიგთავსშიც (`value`) უნდა მიეთითოს უნიკალური იდენტიფიკატორი; თავისმხრივ ამ უნიკალურ იდენტიფიკატორთა ნუსხა უნდა გაკეთდეს `messages_ka.xml` ფაილში, რომელიც `webapps/ROOT/assets/translations` ფოლდერშია მოთავსებული. თარგმნილი გვერდების აგებაზე პასუხისმგებელია `Cocoon` და `main.xmap` ფაილი, სადაც ეს შემდეგი ჩანაწერი გვაქვს:

```
<map:transform type="i18n">
  <map:parameter name="locale" value="{1}" />
</map:transform>
```

ამუამად, ყველა შესაძლო ველს თარგმანი ჩვენი კორპუსისათვის ასე გამოიყურება:

```
64 <!-- საინდექსაციო გვერდზე -->
65 <message key="index_title">წარწერები</message>
66 <message key="index_inscription">წარწერების სრული ჩამონათვალი</message>
67 <message key="filename">ფაილი/ID</message>
68 <message key="file_title">წარწერის სათაური</message>
69 <message key="editor">რედაქტორი/გამომცემელი</message>
70
71
72 <message key="index_desc">წარწერების საინდექსაციო გვერდების სანახავად მიჰყევით ბმულს</message>
73 <message key="download">შევიძლიათ გადმოწეროთ წარწერები XML ფორმატში</message>
74
75
76 <message key="epidoc_indices">საინდექსაციო გვერდები</message>
77 <message key="indices_desc">საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის ავტომატური საინდექსაციო გვერდები</r
78 <message key="symbols">სიმბოლოები</message>
79 <message key="symbols_desc">კვადრატული ფრჩხილით  აღნიშნულია წარწერა, რომელშიც სიმბოლო სრულად აქ
80 <message key="abbr">ქარაგმა</message>
81 <message key="abbr_ex">გახსნა</message>
82 > <message key="abbr_desc">კვადრატული ფრჩხილით  აღნიშნულია წარწერა, რომელშიც ქარაგმა სრულად ან ნ:
83 <message key="fragments">ფრაგმენტები</message>
84 <message key="indices_tabl_lang">ენა</message>
85 <message key="indices_ref">წარწერა</message>
86 <message key="fragment_desc">კვადრატული ფრჩხილით  აღნიშნულია წარწერა, რომელშიც სიმბოლო სრულად :
87 <message key="num">რიცხვი</message>
88 <message key="value">მნიშვნელობა</message>
89 <message key="num_desc">კვადრატული ფრჩხილით  აღნიშნულია წარწერა, რომელშიც ასოს რიცხვითი მნიშვნ:
90 <message key="words">სიტყვანი</message>
91 <message key="words_desc">კვადრატული ფრჩხილით  აღნიშნულია წარწერა, რომელშიც სიტყვა სრულად ან ნ:
92 <message key="lemma">ღემების სია</message>
93 <message key="lemma_desc">კვადრატული ფრჩხილით  აღნიშნულია წარწერა, რომელშიც ღემის რეაღიზაცია სქ
94 <message key="persname">პირთა სახელები</message>
95 <message key="relation">კავშირი</message>
96 <message key="status">სტატუსი</message>
97
98
99
100
101
102
103 <message key="date">თარიღი</message>
104 <message key="role_name">წოდებები</message>
105 <message key="name">სახელი</message>
106 <message key="placename">წარმომავლობა</message>
107 <message key="persname_desc">კვადრატული ფრჩხილით  აღნიშნულია წარწერა, რომელშიც პირის სახელი სრ:
108 <message key="rolename_desc">კვადრატული ფრჩხილით  აღნიშნულია წარწერა, რომელშიც მოხვედების სახე:
109 <message key="place_name">ადგილია საძიებელი</message>
110 <message key="placename_desc">კვადრატული ფრჩხილით  აღნიშნულია წარწერა, რომელშიც ადგილის სახელი
111 <message key="filename_desc">ქართული წარწერები</message>
112 <message key="transl_persname">თარგმანი</message>
113 <message key="title">წოდება</message>
114 <message key="bibl_c">ბიბლიოგრაფია</message>
115
```

ამგვარი კოდირების შედეგად, მოხერხდა EFES პლატფორმის ყველა გვერდის გაქართულება.

მიუხედავად იმისა, რომ EFES პლატფორმის ღია კოდის ნაწილია სამაგალითო საინდექსაციო გვერდები, კვლევითი და საგამომცემლო მიზნებიდან გამომდინარე, საჭირო ხდება როგორც ახალი საინდექსაციო გვერდების შექმნა, ისე საინდექსაციო გვერდების შინაარსის კონტროლი (i.e. თითოეული წარწერის კოდირებული ფაილიდან რა მონაცემები და რა წესით უნდა დაინდექსირდეს). კვლავ საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის მაგალითზე განვიხილოთ ეს ორივე საჭიროება.

ახალი საინდექსაციო გვერდის დასამატებლად epidoc.xml ფაილში, რომელი webapps/ROOT/content/xml/indices/ ფოლდერშია მოთავსებული უნდა დავამატოთ ახალი განყოფილება <div> შესაბამისი მონაცემებით:

```
<!-- ლემების სია -->
<div xml:id="lemma">
<head><i18n:text i18n:key="lemma">Lemmata</i18n:
text></head>
<div type="headings">
    <list>
<item><i18n:text i18n:key="lemma">Lemma</i18n:text></
item>
        <item>
<i18n:text i18n:key="indices_tabl_lang">Language code</
i18n:text>
            </item>
        <item>
```

```

<i18n:text i18n:key="indices_ref">References</i18n:text>
      </item>
    </list>
  </div>
  <div type="notes">
    <list>
      <item>
<p><i18n:text i18n:key="lemma_desc">Square brackets
[ ] indicate that the name/word is partially or completely
restored in this inscription.</i18n:text></p>
      </item>
    </list>
  </div>
</div>

```

აქ შეამჩნევთ, რომ ყველა ველის სახელწოდება ინგლისურია, თუმცა უკვე ნაცნობი ელემენტის

```

<i18n:text i18n:key="indices_ref">...</i18n:text>

```

და ზემოთ ნაჩვენები თარგმანის ფაილის დახმარებით, კორპუსის ვებგვერდზე ქართულ მონაცემებს ვხედავთ.

ჩვენ მიერ დამატებული კოდის მიხედვით ლემების საინდექსაციო გვერდზე წარმოდგენილ ცხრილს სამი სვეტი ექნება, პირველ სვეტში მოთავსებული იქნება ლემა, მეორე სვეტში ენის კოდი, ხოლო მესამე სვეტში ყველა ის წარწერა, სადაც ეს ლემა გვხვდება (მესამე სვეტში გვაქვს წარწერის საიდენტიფიკაციო ნომერი კორპუსის მიხედვით, წერტილით გამოყოფილია წარწერის ხაზი, რომელზეც ლემა გვხვდება. თუკი ლემა აღდგენილ

კრულ1	ka	ECG256.1
კულად1	ka	ECG099.3.15
კოდომა1	ka	ECG337.4
კუთვნილ1	ka	ECG122.4
კუთხე1	ka	[ECG034.4]
კუმურდოელ3	ka	ECG146.1 ECG148.1 ECG148.10
კურაპალატ1	ka	ECG902.7
კურთხევა6	ka	ECG083.10 ECG171.20 ECG173.12 [ECG240.2] [ECG244.1] ECG247.3
კურთხეულნ	ka	ECG113.1 ECG114.2 ECG114.4 ECG122.1 ECG346.7 [ECG474.1]
კუჭრთხ1	ka	ECG247.9
კვირიელეისონ61	ka	ECG146.6
კვრიკე1	ka	ECG525.1
ლაგამ1	ka	ECG115.3

სიტყვას ეკუთვნის, წარწერის ნომერი კვადრატულ ფრჩხილში იქნება ჩასმული).

იმისათვის, რომ ეს სვეტები ავტომატურად შეივსოს კორპუსის ფაილებიდან ინდექსირებული, ამოკრებილი მონაცემებით, უნდა შეიქმნას ლემების საინდექსაციო გვერდის სტაილშიტი, epidoc-\*-index-to-solr.xsl და მოთავსდეს ფოლდერში webapps/

ROOT/stylesheets/solr. სწორედ სტაილშიტი აკონტროლებს კორპუსის XML ფაილებიდან კოდირებული მასალა რომელი „კაუჭების“ საშუალებით ამოიწიოს. განვიხილოთ ლემების საინდექსაციო გვერდის ასაგებად საქართველოს ეპიგრაფიკულ კორპუსში გამოყენებული სტაილშიტი:

```

<xsl:template match="/">
  <!-- Handle the fact that @lemma may have multiple words
  that need to be indexed individually. -->
  <xsl:variable name="root" select="." />
  <!-- There is surely a more concise way to assemble the
  desired sequence. -->
  <xsl:variable name="lemma-values">
    <xsl:for-each select="//tei:w[@lemma][ancestor::tei:div/@
    type='edition']/@lemma">
      <xsl:value-of select="normalize-space(.)" />
      <xsl:text> </xsl:text>
    </xsl:for-each>
  </xsl:variable>
  <xsl:variable name="lemmata" select="distinct-values(tokenize(normalize-space($lemma-values), '\
  s+'))" />
  <add>
    <xsl:for-each select="$lemmata">
      <xsl:variable name="lemma" select="." />
      <xsl:variable name="w" select="$root//tei:w[ances-
      tor::tei:div/@type='edition'][contains(concat(' ', @lemma, '
      '), $lemma)]" />
    </xsl:for-each>
  </add>
  <doc>
    <field name="document_type">

```



```

        <xsl:value-of select="$subdirectory" />
        <xsl:text>_</xsl:text>
        <xsl:value-of select="$index_type" />
        <xsl:text>_index</xsl:text>
    </field>
    <xsl:call-template name="field_file_path" />
    <field name="index_item_name">
        <xsl:value-of select="$lemma" />
        <xsl:value-of select="count($w)" />
    </field>
    <field name="language_code">
        <xsl:value-of select="$w[1]/ancestor-or-self::*[@
xml:lang][1]/@xml:lang"/>
    </field>
    <xsl:apply-templates select="$w" />
</doc>
</xsl:for-each>
</add>
</xsl:template>

```

ამ კოდის შინაარსი ასეთია: წარწერის ტექსტის განყოფილებიდან ამომიკრიბე ლემები, თითოეული ლემისათვის მიჰოვე ყველა სიტყვა, რომელსაც ეს ლემა მითითებული აქვს ამოსავალ ფორმად, შესაბამის ველში დამინერე რა ენაზეა შესრულებული ეს წარწერა.

თუკი ციფრული რეკოლუციისათვის ამოსავალია წიგნიერების საყოველთაო გავრცელება, ციფრული ჰუმანიტარიისათვის ამჟამინდელ ამოცანას წარმოადგენს გამოცემისა და კვლევის ღია ხელსაწყოების შექმნა და გაზიარება. ამდენად, EFES

პლატფორმის საქართველოს ეპიგრაფიკულ მასალაზე მორგებისას მიღებული ტექნიკური გადაწყვეტები, რომელთაგან ნაწილი საფუძვლად შეიძლება დაედოს სამომავლოდ ახალ გამოცემებს, ღიად იქნება ხელმისაწვდომი.

## Summary

Digital Epigraphy is a rapidly expanding field of digital humanities taught at Ilia State University since 2016 as part of a master's degree program. "Digital Epigraphy, Publishing Standard and Methodology" results from the experience gained during both the teaching and the ongoing research project Epigraphic Corpus of Georgia.

The introductory part of the book presents the development of epigraphy as a historical field in Georgia - the introductory section illustrates the arguments in favor of the standardized digital scientific publication of the epigraphic heritage of Georgia. This work's primary purpose is to describe electronic tools and the international standard(s) underpinning digital humanities research and publishing projects in epigraphy; the Separate chapter of the book describes methodological approaches of the exemplary digital epigraphy projects.

An overview of the main issues of digital publication of epigraphic material and ways of solving those issues should interest any humanitarian interested in the digital scientific publication. Inscriptions found in Georgia are diverse in typology, content, and language. From this variety, Aramaic, Hebrew, and Greek inscriptions dating back to V BC to XIX AD are the most compelling (T. Kauhchishvili 2009). Bodard (2008) has explained the importance of inscriptions for classical scholarship: "Inscriptions, ancient texts inscribed on stone or other durable materials, are an important source of access

to various ancient societies... These texts survive in large numbers and are widely used by historians as one of the primary sources of direct evidence on the history, language, rituals, and practices of the ancient world.” None of the mentioned inscriptions have been published online according to the EpiDoc guidelines until the university project Epigraphic Corpus of Georgia began at Ilia State University on March 1st. Two thousand fifteen thanks to a year’s funding from the University and under the lead of Prof. Nino Doborjginidze. XML files of the 79 inscriptions (Georgian and Greek available online at [epigraphy.iliauni.edu.ge](http://epigraphy.iliauni.edu.ge)) were prepared. All metadata and texts of the inscriptions were tagged according to the digital analog of Leiden Conventions - EpiDoc.

From 2017 Epigraphic Corpus of Georgia (1.0 version is available <http://v.epigraphy.iliauni.edu.ge>) switched to EpiDoc Front-End Services (EFES) to a free, highly customizable platform for the online publication of ancient texts in EpiDoc XML, funded by the Andrew W. Mellon Foundation in 2017–18.

EFES uses Cocoon’s I18n Transformer to handle content in different languages that are part of a template or XSLT; this allowed us to translate the platform’s relevant features into Georgian. We have customized XSLs according to the guidelines (available <https://github.com/EpiDoc/EFES/wiki>) where it was necessary, and these cases are discussed in the last chapter of this book.